სპეციალური ბიჭები

№7 (740)
ოთხშაბათი
28 თებერვალი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

ოპოზიციის დაკრულზე მოცეკვავე სალომე

დღევანდელი ოპოზიცია
გეი-პოლიტიკური პარტიების ნაზავი...



„ვეტინგის“ სისტემა აურზაური არაფრის გამო

უნდა მოხდეს ბოლო 30 წლის სწორი შეფასება!



სააკაშვილმა, შესაძლოა, ნებისმიერ წუთს აღიაროს, ვინ არის მისი „უფროსი“ და რა დავალებებს აძლევენ

მწვანე და მემარცხენე პოლიტიკურმა კლასმა ევროპის ოცნება გააუპატიურა

სტაბილური საქართველო ამერიკას არ აწყობს

პრემიერ-მინისტრის კვირა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე საქართველოში შვეიცარიის კონფედერაციის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს ჰაიდი გრაუს შეხვდა.

შეხვედრაზე საქართველოსა და შვეიცარიას შორის ურთიერთობები და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივები განიხილეს. ხაზი გაესვა საქართველოსა და შვეიცარიის კონფედერაციას შორის მჭიდრო და მეგობრულ ურთიერთობებს როგორც ორმხრივ, ისე მრავალმხრივ ფორმატებში.

ყურადღება დაეთმო შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მრავალწლიან წარმატებულ და ეფექტიან თანამშრომლობას. აღინიშნა, რომ სააგენტომ თავისი საქმიანობით წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ და დემოკრატიულ ტრანსფორმაციაში.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ საქართველო აფასებს შვეიცარიის მნიშვნელოვან როლს საქართველოსა და რუსეთის ფედერაციას შორის შუამავლობაში თბილისსა და მოსკოვს შორის დიპლომატიური კავშირების გაწყვეტის შემდეგ.

პრემიერ-მინისტრმა ჰაიდი გრაუს მადლობა გადაუხადა შვეიცარიის მტკიცე მხარდაჭერისთვის საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ.



* * *

ევროკავშირის ელჩთან პაველ ჰერჩინსკისთან შეხვედრაზე ირაკლი კობახიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს ადგილი ევროკავშირშია. ირაკლი კობახიძემ და პაველ ჰერჩინსკიმ ბრიუსელში პრემიერ-მინისტრის მიერ გამართული ვიზიტი და მაღალი დონის შეხვედრები შეაფასეს. აღინიშნა, რომ ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობა უმაღლეს ნიშნულზეა და საქართველო მტკიცედ დგას ევროპულ გზაზე, რაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ბრიუსელში გამართულ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-8 სხდომაზე.

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრაზე ევროკავშირში საქართველოს ინტეგრაციის გზაზე საქართველოს რეფორმების დღის წესრიგი განიხილეს. როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ საქართველოს შემდეგი პრიორიტეტი ევროკავშირთან გაწევრიანების მოლაპარაკებების გახსნაა, რაზეც საქართველოს მთავრობა აქტიურად მუშაობს, მათ შორის — ევროკომისიის მიერ საქართველოსთვის განსაზღვრული შესაბამისი ნაბიჯების განხორციელების გზით. პრემიერ-მინისტრმა ევროკავშირის ელჩთან გაფართოების ანგარიშში მოცემული პრიორიტეტების შესრულების დინამიკა განიხილა.

* * *

„მოგეხსენებათ, რომ გასული კვირის განმავლობაში ვაწარმოებდით მოლაპარაკებებს საქართველოს ეროვნული ბანკისა და „ლიბერთი ბანკის“ ხელმძღვანელებთან პენსიონერებისთვის საპენსიო განაკვეთის შემცირების თაობაზე. მე განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო „ლიბერთი ბანკს“, რომელმაც გამოავლინა მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა. გვესმის, რომ ბანკს, პირველ რიგში, აქვს კომერციული ინტერესები, თუმცა ამასთან ერთად, ბანკმა გამოავლინა ძალიან მაღალი სოციალური პასუხისმგებლობა და მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც არსებულ საპროცენტო განაკვეთს შეამცირებს რამდენიმე პროცენტით, რამდენიმე პუნქტით. მინდა ვთხოვო მთავრობის შესაბამის წევრებს, განაგრძონ მოლაპარაკებები, რათა საბოლოოდ დაზუსტდეს განახლებული პირობები ჩვენი პენსიონერებისთვის და საზოგადოებას მიეწოდოს დაზუსტებული ინფორმაცია ახალი საპროცენტო განაკვეთის შესახებ“, - აღნიშნა ირაკლი კობახიძემ.

* * *

„განათლების მინისტრმა წარმოადგინა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების დოკუმენტი, რომელიც 2004 წლის შემდეგ პირველად განახლდება. დოკუმენტის თანახმად, ზოგადი განათლების სისტემის უმთავრესი ამოცანა იქნება, უზრუნველყოს ისეთი სასკოლო გარემოს შექმნა, რომელიც ეროვნულ-პატრიოტულ სულისკვეთებაზე, პიროვნულ განვითარებაზე, ოჯახის ინსტიტუტის პატივისცემაზე, უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებსა და დემოკრატიულ ფასეულობებზე იქნება ორიენტირებული. დოკუმენტში არის დეტალურად გაწერილი ეს ყველაფერი. ზოგადი განათლების სისტემამ ქვეყანას უნდა გაუზარდოს ღირსეული მოქალაქე, რომელიც იზრუნებს ეროვნული იდენტობის შენარჩუნებაზე, რომელსაც გაცნობიერებული ექნება საკუთარი უფლება-მოვალეობები ოჯახის, საზოგადოების, სახელმწიფოს წინაშე. რომელიც დაეუფლება სახელმწიფო ენის, საქართველოს ისტორიის და კულტურის სრულფასოვან ცოდნას, განმსჭვალული იქნება სახელმწიფოებრივი აზროვნებით, პატრიოტიზმით, პატივს სცემს ეთნიკურ და კულტურულ მრავალფეროვნებას, რომელსაც ექნება მაღალი სამოქალაქო ცნობიერება და სათანადოდ ექნება გააზრებული შემწყნარებლობისა და სამართლიანობის პრინციპები და რომელიც შეძლებს დამოუკიდებლად ცხოვრებას, გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღებას თანამედროვე სამყაროში. ასეა გაწერილი ეს მიზნები იმ პროექტში, რომელიც არის მომზადებული განათლების სამინისტროს მიერ. უახლოეს დღეებში სამინისტრო დაიწყებს უკვე დოკუმენტის საჯარო განხილვას და წარმოადგენს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების საბოლოო ვერსიას, რომელიც შემდეგ დასამტკიცებლად წარედგინება საქართველოს პარლამენტს. ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადი განათლების სისტემის განვითარება სწორ ღირებულებებს დაეფუძნოს, რისთვისაც ეროვნული მიზნების დოკუმენტის სათანადო გაწერას, ბუნებრივია საკვანძო მნიშვნელობა ენიჭება. მადლობა განათლების სამინისტროს უკვე გაწეული სამუშაოსთვის და დარწმუნებული ვარ, რომ უახლოეს მომავალში მოვახერხებთ ისეთი დოკუმენტის მიღებას, რომელიც ყველაზე მეტად მიესადაგება ჩვენს ინტერესებს ზოგადი განათლების სფეროში“, - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ.

მარია შიკომ მკაფიოდ დაადასტურა უნგრეთის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი

დედაქალაქის მერი კახა კალაძე უნგრეთის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საქართველოში ანა მარია შიკოს შეხვდა.

გაცნობითი ხასიათის შეხვედრაზე ხაზი გაესვა საქართველოსა და უნგრეთს შორის არსებულ მტკიცე მეგობრულ ურთიერთობებს და ასევე, სხვადასხვა მიმართულებით გამოცდილების გაზიარების მნიშვნელობას.

თბილისის მერმა უნგრელ დიპლომატს მადლობა გადაუხადა უნგრეთის მხრიდან საქართველოს მიმართ გამოხატული თვალსაჩინო მხარდაჭერისა და თანამშრომლობისთვის.

„მინდა, ხაზი გავუსვა ჩვენს ქვეყნებს შორის არსებულ პოზიტიურ ურთიერთობებს, რაც, რა თქმა უნდა, მისასალმებელია. ბოლო წლებში ეს ურთიერთობები განსაკუთრებით გაღრმავდა, რასაც ბევრი დადებითი მხარე აქვს. ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობები ჯერ კიდევ 1992 წლიდან იწყება და დღეისთვის მეტი რესურსი არსებობს იმისთვის, რომ ეს ურთიერთობები კიდევ უფრო გაღრმავდეს. პირადად მეც მზად ვარ ამ პროცესში წვლილის შეტანისთვის. თბილ და მეგობრულ ურთიერთობებზე მეტყველებს საქართველოსა და უნგრეთის პრემიერ-მინისტრების ვიზიტები ჩვენს ქვეყნებში“, - განაცხადა კახა კალაძემ.

უნგრელმა დიპლომატმა მკაფიოდ დაადასტურა უნგრეთის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი, აგრეთვე ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის პროცესის მიმართ.

ანა მარია შიკომ ქვეყნებს შორის მტკიცე თანამშრომლობის პარალელურად, დედაქალაქებს შორის, სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის კულტურის სფეროში, გამოცდილების გაზიარების მზადყოფნა გამოთქვა.

ქართველი და უნგრელი ხალხების კიდევ უფრო დაახლოების მიზნით, ელჩმა თბილისში უნგრეთის დღეების ჩატარების სურვილი გამოთქვა. აღნიშნულთან დაკავშირებით, თბილისის მერმა უნგრელ დიპლომატს დახმარება და სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

თბილისის გამორჩეულ მერს კახა კალაძეს, ვულოცავთ დაბადების დღეს. მისი მერობის პერიოდში ჩვენს დედაქალაქში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, რამაც ჩვენი ქალაქის ცხოვრება და იერსახე სასიკეთოდ შეცვალა — უფრო კოპწია და პეწიანი გახდა.

ვუსურვებთ ჩვენს მერს ჯანმრთელობას, წარმატებებს, უშრეტ ენერგიას მის მეტად საპასუხისმგებლო საქმიანობაში, რათა კვლავაც დაუღალავად განაგრძოს ჩვენს დედაქალაქზე ზრუნვა.

ვუსურვებთ, რომ კიდევ არაერთი დაბადების დღე აღენიშნოს თავის მშვენიერ მეუღლესთან და ოთხ ვაჟკაცთან ერთად.

დაე, ქართველი ხალხის სიყვარული მუდამ თან სდევდეს.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

ოპოზიციის დაკრულზე მოცეკვავე სალომე

„კოალიციური მთავრობა თუ გვეყოლება, ეს იქნება პოლარიზაციის დასასრული“, — განაცხადა საქართველოს ჭირადქცეულმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა „ევრაქტივთან“ ინტერვიუში. ეს ქვეყნის ის პრეზიდენტია, ის მთავარსარდალი, რომელიც შარშან, იუნკერების ხსოვნისთვის პატივის მისაგებად არ მივიდა, წელს კი აღარ დაპატიჟეს, რადგან ცხადი იყო, რომ მით უმეტეს წელს, არ მივიდოდა. მის ადმინისტრაციაში განაცხადეს, არ მიიწვიესო, მაგრამ, როგორც შარშან არ განუმარტავთ, რატომ არ მივიდა, წელს რატომღა იტყოდნენ მიზეზს, ან იმას, რომ არც წელს მივიდოდა და თავის ჭკუაზე გაკუნტრუშდებოდა სადმე. ეტყობა, შარშან, პოლიციის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას რომ თავი ბრიუსელში, ევროპარლამენტში გაარიდა და იქიდან მოკლე ტექსტით მიულოცა ქართულ პოლიციას, წელს აღარავინ გაუღო ევროპარლამენტში კარი და კოჯორშიღა გაინავარდა ამჯერად.

დამდგარა და დაუჩემებია, გეგმაა, დავეწიოთ ასოცირებული ტრიოს ორ პარტნიორს, უკრაინასა და მოლდოვასო. ჯერ ამას ვინ ეკითხება ვინმეს დაწევას და შემდეგ, რაში არიან ეს ქვეყნები საქართველოს პარტნიორები? ანდა, რატომ არავინ ეკითხება, რაში ვუპირებთ დაწევას, ერთს, რომელიც კორუფციასა და სისხლში იხრჩობა, ან მეორეს — ასევე კორუფციაში ჩამხვრჩალი და გაპარტახებული რომ არის?

ვერ დავიჯერებ, რომ ამ ქალმა არ იცის და არც არავინ უთხრა, კოალიციური მთავრობა რა შემთხვევაში დგება, თუმცა არაფერი იცის, მავნებლობის გარდა და იქნებ, არც იცის და არც არავინ უთხრა?

კოალიციური მთავრობა იქმნება მაშინ, როდესაც საპარლამენტო არჩევნების შედეგად ვერც ერთი პარტია ვერ იღებს საკმარის ხმებს და, შედეგად, საკმარისი მანდატების რაოდენობას იმისათვის, რომ ერთპიროვნულად გაიტანოს კანონპროექტები ან დააკომპლექტოს მთავრობის შემადგენლობა. შესაბამისად, ვერ იქმნება საპარლამენტო უმრავლესობა და შეუძლებელი ხდება ერთპარტიული მთავრობის შექმნა. შემდეგ, მოსალოდნელი პოლიტიკური კრიზისის თავიდან აცილების მიზნით, ორი ან მეტი პარტია აყალიბებს კოალიციას, რომელიც საპარლამენტო უმრავლესობის ადგილს იკავებს და კოალიციურ მთავრობას ქმნის.

ასე რომ, ქალბატონი ზურაბიშვილის ანტიდემოკრატიული განცხადება, რომ მისი მიზანი კოალიციური ხელისუფლების ხილვაა, რაც დასრულებს პოლარიზაციას, მხოლოდ ბჟუტურია.

არ არსებობს ქვეყანა, სადაც ნებისმიერ პარტიას არ უნდოდეს გამარჯვება და მაქსიმალურად მეტი მანდატის მოპოვება, მით უმეტეს, რომ კოალიციური მთავრობა ვინმეს მიზანი ვერ იქნება, რადგან ასეთი მთავრობის შექმნა მხოლოდ არჩევნების შედეგიდან დამდგარი მოცემულობაა.

ამ ქალს, რომელსაც ზეპარტიული თანამდებობა აქვს — მისი მანდატი კონსტიტუციაში მკაფიოდ არის განსაზღვრული და ამიტომ მაინც არ უნდა რატრატებდეს უაზრობებს, იმის ახსნაც კი არ შეუძლია, რა კოალიციაზე საუბრობს, ვისთან კოალიციას გულისხმობს და როდის. კოალიციური მთავრობა როდის დგება, განსაზღვრულია და რა გამოდის, შიდა კოალიციაზე საუბრობს? შიდა კოალიცია ისედაც აქვთ, ეს მთლიანად „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა“, რომლებიც ხან ფანჩატურ-ფანჩატურ დარბიან ერთმანეთის სადიდებლად, ხან ღობის გადაღმა-გადმოღმა და ხან სალომეს ყავახანაში კრუასანებზე და მაინც „ლებედ, რაკ და შჩუკა“ სჭირთ, მაგაზე თუ ამბობს, სხვა საკითხია.

ამ გახსენებაზე — ლяკას უთქვამს „იმ დროს“, ჩვენს პოლიტსამეულს კრილოვის იგავი „ლებედ, რაკ და სუკა“ დაედო საფუძვლადო. ლებედ (გედი) თვითონ ყოფილა, რაკ (კირჩხიბი) — „ვირჩი“ ჯაფარიძისბრი და სუკა (კრილოვთან — ქარიყლაპია) — ვაშაძე „ინვესტიციებმომზიდველი“. „სუკა“ კარგია! არ გვაქვს щ-ს ანალოგი შესატყვისი ასო-ბგერა ქართულში და რა ექნა ლяკასაც, სუკა გამოვიდა.

ისე, რომ გადახედო ქართულ პოლიტსპექტრს, რამდენი ქარიყლაპიაა...

არჩევნებზე ამომრჩეველს, რომელსაც ერთი ხმა აქვს მხოლოდ, სწორედ მისი რჩეული პარტიისთვის ემეტება და ეს ნიშნავს, რომ მისი გამოხატული სურვილია, მისმა რჩეულმა პარტიამ გაიმარჯვოს დამაჯერებლად, რომ მისი სიტყვა იყოს გადამწყვეტი. ასე რომ, ვინც კატეგორიულად აცხადებს, რომ აუცილებლად კოალიციური მთავრობა უნდა იყოს, ან სრული უვიცია, ან რაღაცას გამიზნულად ურევს გარკვეული ფონის შესაქმნელად. მოკლედ რომ ვთქვათ, მავნებლობს და გარკვეული დროისთვის გაუთვითცნობიერებელი ადამიანებით მანიპულირება აქვს დაგეგმილი.

„მუსტანგდამწვარები“ ამბობენ, საქართველოს საზოგადოება ემხრობა კოალიციურ მმართველობას და ახლა არის ისტორიული შანსიო. თანო, ოპოზიციურ სპექტრში მიმდინარეობს კონსულტაციები და განიხილება, რამდენ ადგილს სთავაზობენ „ლელოსო“, მაგრამ ეგ კი არ არის ვინმესთვის მთავარი, ჩვენი პრიორიტეტია თბილისის შემთხვევაში „მარშალის გეგმაო“. ჩვენ არ ვართ პოლიტიკაში თანამდებობებზე, რომ პრივილეგიებზე ვიზრუნოთ, ეგ არ არის ჩვენი ინტერესი, ჩვენი პროგრამის განხორციელება გვინდა, სულ ეგ არისო. რეებს მიედ-მოედება ეს ყმაწვილი, რას ჩივის და რა უნდა, ვერაფერი გავიგე მისი მეტყველებიდან. ახლა ამას არ უნდა მიაზილო ყბებში იმ დამწვარი „მუსტანგის“ გასაწშენდი კარბურატორი?

ამ ლელომოსასპობის ამბავი ასეა: ჭიჭიკია და ბიჭიკია კოსმოსში რომ არიან და ჭიჭიკია ეუბნება, პრიბორიო. ბიჭიკია პასუხობს — 26-ო. რაის 26-ო?! აბა, რაის პრიბორიო?

კოალიციური მთავრობა არის ერთადერთი გამოსავალი, რომ ამ ქვეყანაში დასრულდეს ერთპარტიული მმართველობა და შეიცვალოს პოლიტიკური ძალაუფლებაო, — ჭკუა დაგვარიგა საეჭვოდ ფხიზელმა თეონამ. მისმა ჯგუფელმა მითხრა, გადასარევი გოგოა, ჭკუით გატენილიო და აბა, სხვა რა ვიფიქრო?

ამასობაში თაკოს ლეიბზე მაწანწალა ძაღლები იძინებენ და ლოცავენ, ეს რა ლეიბი დაგვიგეს შენი ხათრითო, თაკო კი ღელავს, სად სცალია რუსთაველზე წამოსაკოტრიალებლად, მესამე კლავიატურა გაცვითა კივილ-კივილით: „ეს ბურჯანაძე, ეს „ეროვ-ნული“ ფსკერი (განსაკუთრებით ამ დღეებში მახსენდება, პუტინის მიერ ჩადენილი ნავალნის მკვლელობის დროს) აი ეს „კრუპსკაია“ მაგიდასთან რომ დაისვა ოპოზიციამ, რუსის ჯარის შემოყვანის მოსურნე („500 კაცი რომ მოკვდეს არაფერიაო“ რომ ამბობდა, მერე მიშა გრუ-ს ჯარს ელაპარაკოს)...

ეს პუტინის იდეების გამხმოვანებელი და საქართველოსთვის უბლოკო სტატუსის შემომთავაზებელი ღიად, ეს პუტინის ვერშემდგარი „ვასალი“ რომ დაისვა მაგიდასთან ოპოზიციამ, აი მაშინ ვთქვი — დაღმართით წავა პროცესი თქო და ასეც მოხდა.

ხალხი ბრძენია, არიან „პოლიტ პუტინკები“, რომელთა გამოჩენა და „დამოძღვრა“ ტვ ეკრანიდან ხალხს არ უნდა აკადრო. 21-ე საუკუნეა გარეთ, უბრალოდ თავმოყვარეობის და ეროვნული ღირსების საქმეა... თუ არ „გავნულდით“ მართლა!“

ვიღაცამ მწარედ იხუმრა, „ნაცმოძრაობამ“ ლეღვის ფოთლებად „ლელო“ და გახარია აიფარა და რადიკალიზმი არ გამოუჩნდათო, ჰოდა, დავანებოთ ყველას ჩამოთვლას თავი, რადიკალიზმი მაინც ყველას უჩანს.

თვით სალომე ზურაბიშვილი ვისთან ერთად მოიაზრებს თავს, ნათელია. ცხადია, მის გადამრჩენელ „ნაციონალურ მოძრაობასთან“, რადგან მათი ხმები რომ არა კენჭისყრის დროს, ეს ორივე ფეხით „კოჭლი იხვი“ პოლიტიკურ სამარეში იწვებოდა. ასე რომ, ეს ერთობა, უნდათ თუ არა, უკვე გაფორმებულია, მით უმეტეს, რომ სალომეს იმედი აქვთ, ჩვენს მიშას შეიწყალებსო. შესაბამისად, მის გვერდით მოიაზრება ვითომ დაშლილი და გათითოკაცებული ტიკლი-მიკლი პარტიები, იგივე ნაცები ძველი სახეებითა და თვალთხარია ახალი გახარიათი — ესენი ხომ ყველანი მიშას დაკრულ „ახ, სირუმ სირუმის“ ჰანგზე „ტი ჟ მენე პიდმანულა“-ს ცეკვავენ.

კოალიციური მთავრობის შექმნის საფუძვლები, შესაძლოა, ამომრჩეველთა უდიდეს უმრავლესობას არ ესმოდეს, მაგრამ მათგან „ნაცმოძრაობზე“ ფანატიკურად შეყვარებულ ამომრჩეველს მხოლოდ ის აინტერესებს, რომ ისევ იხილოს სათაყვანებელი პარტია ქვეყნის სათავეში, მათი „მიშიკოები“ რომ ამბობენ, მაშასადამე, ასეა და აჰყვებიან კიდეც, მათაც ეს უნდათ.

საქმე ის გახლავთ, რომ 5%-იანი ბარიერის გადალახვა რეალურად მხოლოდ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შეუძლია და ამ შემოგდებული კოალიციური მთავრობის თემით, თავიანთი გათვლებით, ფიქრობენ, რომ საზოგადოებაში ოპოზიციის მხარდამჭერთა რიცხვს გაზრდიან — კოალიციური მთავრობა ხომ ქვეყნის გადამრჩენელი იქნება.

ამომრჩეველს, რომელიც იმდენს ვერ ხვდება, რომ ახლა მრავალ, უპირველესად კი ომის უბედურებას არის გადარჩენილი და რაღაცისგან მხსნელად მისთვის აბსოლუტურად გაურკვეველი რაღაც კოალიციური მთავრობა უნდა, რომელიც „ომის პარტიის“ ბაზაზე უნდა შეიქმნას მავანთა ოცნებით, რაც უნდა ელაპარაკო, ვერაფერს გააგებინებ, გულითაც რომ მოინდომო.

ალეკო ელისაშვილმა თქვა: „ქართული ოცნება“ მოგვიგებს ყველას, პატარა ბავშვებივით, ტაკოზე რომ გატყეპენ, ასე დაგვტყეპს, თუ ასე გავაგრძელებთო. „თუ“ სრულიად უმართებულოდ თქვა ბატონმა ელისაშვილმა, რადგან ისე აგრძელებენ კი არა, უარესი წამოიწყეს.

სალომე ზურაბიშვილის გზავნილი ოპოზიციისთვის, მისი (მავანთა დავალებით) აზრით, ალბათ, წინასაარჩევნო ტაქტიკის ნაწილია, რაც ოპოზიციურ ფლანგს გააძლიერებს. თუმცა, როგორც ჩანს, რადიკალურად განსხვავებული პოზიცია აქვთ ოპონენტებს — 5%-იანი ბარიერის და ბლოკების აკრძალვის პირობებში ოპოზიციის დიდი ნაწილი ალიანსების შექმნას ემხრობა და ოპოზიციურ ფლანგზე ხმების დაკარგვის თავიდან აცილების გზებს ეძებს.

მაია ჭელიძე

უკრაინისა და საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება მისი და რუსეთის კონფლიქტის გაღვივებას შეუწყობს ხელს

გვესაუბრება
პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი
რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, როგორ შეაფასებთ ირაკლი კობახიძის ბრიუსელში ვიზიტს?

— ბრიუსელში ირაკლი კობახიძემ მაღალი დონის შეხვედრები გამართა, რაც მნიშვნელოვანია. მართალია, რეფორმების გატარებაზე, ცხრა დათქმის შესრულებაზე მიგვითითეს, მაგრამ, მეორე მხრივ, ახალი პრემიერის მიმართ მაქსიმალურად დადებითი დამოკიდებულება იგრძნობოდა. და რაც საყურადღებოა, კობახიძე ცალ ფეხზე ნამდვილად არ იდგა.

— ოპოზიციამ კობახიძეს „ძველი ცოდვები“ გაუხსენა: ახლა აღარ უნდა დასავლეთს ჩვენი ომში ჩართვაო? ნაცვლიშვილმა, კობახიძის ორმაგი სახე რუსეთის სტილიაო.

— სხვა რა მისია აქვს ამ ოპოზიციას — საყვედური, ქილიკი, კრიტიკა ხომ უნდა გააჟღერონ?! დასავლეთს საქართველოში თავისი ინტერესები აქვს. დღეს ვითარება შეცვლილია. მანამდე რა იყო? — საფრანგეთის პრეზიდენტის პირით გვითხრეს, საქართველო ევროპისგან შორს არისო და შედეგად, არც კანდიდატის სტატუსი მოგვცეს. ამიტომ ორმაგი სტანდარტის მხოლოდ რუსეთზე მიბმა ოპოზიციის მხრიდან ძალიან მარტივი სვლაა. ამერიკა რუსეთთან ურთიერთობაში ორმაგი სტანდარტებით არ მოქმედებს, როცა ერთი ხელით უკრაინას იარაღს აწვდის, მეორე მხრივ კი, ამბობს, რუსეთის დაშლა არ შეიძლებაო?! ეს ორმაგი სტანდარტი კი არა, უფრო რეალიზმია — როცა ურთიერთობა ითხოვს, ყველა პოლიტიკოსი მანევრირებს. როცა ხელისუფლება დასავლეთს საქართველოს ომში ჩართვის მცდელობაში ადანაშაულებდა, ეს მოსაზრება ჰაერიდან არ მოსულა: გამუდმებით გვსაყვედურობდნენ, სანქციებს გვიწესებდნენ, გვემუქრებოდნენ და გაჩნდა გონივრული ეჭვი, რომ ეს იყო ზეწოლა, რათა ომში ჩავებით. ასეთი ზეწოლა ახლა შეწყდა.

— ზეწოლა კი შეწყდა, მაგრამ ომში ჩართვის საფრთხე გაქრა?

— ამ ეტაპზე, კი, მაგრამ რუსეთ-უკრაინის ომს მარტივი და სწრაფი დასასრული არ უჩანს. როგორც ამ სფეროს ექსპერტები ამბობენ, ომი კიდევ დიდხანს გაგრძელდება. ამ ფონზე როგორ შეიცვლება ვითარება, არავინ იცის. შეიძლება, ისევ აქტუალური გახდეს საკითხის წამოჭრა, – რაც მეტი ფრონტი გაიხსნება, მით უკეთესიო. დასავლეთმა ჩვენ მიმართ მიდგომა რომ შეცვალა, აქ მნიშვნელოვანი ერთი გარემოებაა — ჩინეთიდან ტვირთების გამოტარება საქართველოს გავლით ხდება. ახალი ფრონტის გახსნა იმ ტერიტორიაზე, სადაც ევროპისკენ მიმავალმა ტვირთმა უნდა გაიაროს, დასავლეთს აღარ აწყობს. სანამ ეს ფაქტორი იმოქმედებს, დასავლეთისთვის საქართველოში მშვიდობა და სტაბილურობა ძალიან ძვირფასი იქნება.

— ბატონო რამაზ, საქართველო აღარ არის რიგითი პარტნიორი. წელს ბრიუსელში ჩვენი დელეგაცია კანდიდატის სტატუსით პირველად იმყოფებოდა, რა მნიშვნელობა აქვს ამას ქვეყნისთვის?

— სწორედაც რომ ამ კუთხით აქვს უზარმაზარი მნიშვნელობა — დახმარებები, რასაც კანდიდატის სტატუსის მქონე ქვეყნის რანგში მივიღებთ, იქ გამართულ ორმაგ შეხვედრებზე მსჯელობის, შეფასებისა და ხელმოწერის საგანი გახდა. დიახ, კანდიდატის სტატუსი ევროპის მხრიდან გარკვეულ დახმარებას გულისხმობს, რაზეც საქართველომ თავისი დამოკიდებულება გამოხატა.

— ბორელმა აღნიშნა: საქართველო ევროკავშირის სავალი გზისკენ წარმატებით მიიწევსო, თუმცა, აქ ყოფნისას მოსწავლე-პროფესორის მაგალითი მოგვიყვანა. რა ეტაპზე გადავდივართ?

— ბორელის რიტორიკა საქართველოს მიმართ იცვლება. ქედმაღლური დამოკიდებულება, რაც აქამდე იყო, მცირდება და რეალისტურს უახლოვდება, რაც თავად ევროპის ინტერესშია.

— ევროსაბჭოში აღინიშნა, რომ კობახიძე კონსტრუქციული, შედეგზე ორიენტირებული, დისციპლინირებული ახალგაზრდაა. ეს დიპლომატიური ენა რეალურ კეთილგანწყობაზე მიანიშნებს?

— რა თქმა უნდა, დიპლომატიური ენა ჩვენ მიმართ კეთილგანწყობაზე მიუთითებს. შეგახსენებთ, რომ ანალოგიურ ეპითეტებს ღარიბაშვილის მიმართ ნაკლებად იყენებდნენ. ღარიბაშვილი უფრო კახური პირდაპირობით გამოირჩეოდა. ალბათ, ამ ყველაფერს ერთგვარი სტილისტური თავისებურებები ახლავს, რაც დასავლეთისთვის ზოგჯერ მნიშვნელოვანია. ჩვენ გვგონია, რომ დასავლეთი ყველაზე დიდ ყურადღებას შინაარსს აქცევს, მაგრამ ეს მცდარი შთაბეჭდილებაა. ევროპა პიროვნებაში ყურადღებას აქცევს სტილს, გარეგნულ, ფორმალურ მხარეს. დასავლეთთან დიალოგში ხშირად სწორედ ამ მომენტებს აქვს მნიშვნელობა. ანუ, კობახიძის სტილი ქართველებისთვის უფრო მომგებიანია, რადგან ეს დასავლეთისთვის მისაღებია.

— ოპოზიციამ სხვა რომ ვეღარაფერი დაიწუნა, დაიჩივლა, რა უნდოდა კობახიძეს ორბანთან — პუტინის მეგობართან, რატომ მიუნხენში არ ჩავიდაო?

— ჯერ ერთი, მიუნხენში ქართული წარმომადგენლობა იმყოფებოდა. ანუ, თითქოს საქართველო რადარებიდან გაქრა, ვითარების ასე წარმოჩენა, უმეცრებაა. მეორე მხრივ, მიუნხენის კონფერენციის კონტურები არ იყო იმდენად აქტუალური და მკვეთრი, რამდენადაც ბრიუსელში გამართული შეხვედრები. მით უმეტეს, რომ ორბანი ბოლო ხანებში მნიშვნელოვანი ფიგურა გახდა. დააკვირდით ევროპის რეაქციას ორბანთან მიმართებით და თავად უნგრეთის პრემიერის დამოკიდებულებას ევროპულ პროცესებზე. საქართველომ ორბანთან ისე ურთიერთობა უნდა მოახერხოს, რომ ჩვენი ევროპისკენ სვლა არ დაზიანდეს. რადგან, **რაც ორბანს ეპატიება, შეიძლება საქართველოს არ ეპატიოს**. მეორე მხრივ, საინტერესო პროცესი მიდის კონსერვატიზმის მომძლავრებასთან დაკავშირებით. ლაპარაკი იმაზე, რომ ორბანი პუტინის მეგობარია, პოლიტიკაში ყოფითი დამოკიდებულებების შემოტანაა, რაც ისევ დაბალი რანგის პოლიტიკური ანალიზია. ოპოზიცია იმასაც იძახის, ჩინეთი რუსეთის მეგობარიაო. დიახ, ჩინეთთან ურთიერთობის გამო ამ კუთხითაც გვაკრიტიკებდნენ — ხელისუფლება პუტინის მეგობრებთან ამყარებს ურთიერთობასო. და რას ვხედავთ? — ჩინეთის სამმა დიდმა ბანკმა რუსეთს საბანკო ოპერაციების ჩატარებაზე უარი უთხრა. ვხედავთ იმასაც, რომ ნელ-ნელა, რუსეთიდან გამომდინარე, მსოფლიოში „ჩინური თემა“ კიდევ უფრო იძაბება. ანალიტიკოსები ამბობენ, რომ გამორიცხული არ არის, რუსეთსა და ჩინეთს შორის ომი დაიწყოს, რადგან რუსული ტერიტორიების საკითხი, რომელსაც ჩინეთი ეპატრონება, სულ უფრო მწვავდება. ყოფილა ჩინეთი რუსეთის მეგობარი? ორბანის პუტინთან მეგობრობას რაც შეეხება, ამ დროს რეალურად ორბანი რა პოლიტიკასაც ატარებს, ეს პირდაპირ ტრამპისას ეხმიანება. რაღა პუტინთან, ტრამპთან მეგობრობა წამოსწიონ წინ. მაგრამ ოპოზიციას პუტინთან მეგობრობაზე ხაზგასმა პოლიტიკურად აწყობს, თორემ ჭეშმარიტება სად არის, როცა პოლიტიკოსები ლაპარაკობენ, ამას მნიშვნელობა არ აქვს.

— ჩინეთის აუგად მოხსენიება ტაივანიდან დაფინანსებული არასამთავრობოების მიერაც ხდება. რა როლი აქვს უცხოურ ფულის ქართულ პოლიტიკაში?

— ეს გასაკვირი არ არის. პატარა ქვეყანას არ აქვს სათანადო პირობები, რათა პროცესების მართვა საკუთარი ფულით მოახერხოს. უცხოური ფულის თემა კიდევ დიდხანს იარსებებს. მაგრამ მთავარი ის არ არის, შემოდის თუ არა ქვეყანაში უცხოური ფული. ამ პრობლემას ასე იოლად ვერც გადაჭრი — თუ ოფიციალურ გადარიცხვებს ჩაკეტავ, ფული არაოფიციალური გზით მაინც შემოვა. მთავარია, მანევრირება მოახერხო და ამ ფულით გასაკეთებელმა საქმემ მიზანს ვერ მიაღწიოს. მაგალითად, თუ ფული საბოტაჟისთვის იხარჯება, ეს აღიკვეთოს და ა. შ. ასე რომ, უცხოური ფულის შემოდინებას ვერ გადავურჩებით, მაგრამ მისი შედეგები შეიძლება თავიდან ავიცილოთ, თუ სახელმწიფო ნორმალურად იმუშავებს.

რაც შეეხება კონკრეტულად ტაივანურ ფულს, რაც ეს ამბავი გაირკვა, დაფინანსებულთა მიერ გაკეთებულმა საჯარო განცხადებებმა ფასი დაკარგა. ანალოგიური გაუკეთეს ადრე კიდევ ერთ ოპოზიციონერს, რომელიც ფულს რუსეთიდან იღებს. იგი ენერგიული ოპოზიციონერია, მაგრამ ისეთი აქტიური და მანქანებზე გადამხტომი, როგორც ადრე იყო, აღარ არის. ფაქტების გამომზეურებით ეს ხაზი ჩააქრეს. ასე რომ, ფულს ვერაფერს უზამ, მაგრამ ქვეყანამ უნდა იბრძოლოს, რომ ამ ფულით დაფინანსებულმა ორგანიზაციებმა თავისი ვერ გაიტანონ.

— ისევ ბრიუსელს დავუბრუნდეთ, სადაც მოლაპარაკებების გახსნის კუთხით წინ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგით, რითაც ოპოზიცია აღშფოთებულია.

— ოპოზიცია ვერაფრით შეეგუა, რომ სიტუაცია შეიცვალა. როგორც აღვნიშნე, ამის მთავარი ფაქტორი ჩინეთიდან საქართველოს გავლით ევროპისკენ გასაგზავნი ტვირთების ტრანზიტია. ადრე ოპოზიციის რეპლიკები, დასავლეთში ჭრიდა — იქ რაღაცას დააბრეხვებდნენ, მერე ევროპელი პოლიტიკოსებიც ექოსავით იგივეს იმეორებდნენ და საქართველოში პანიკა იწყებოდა. დღეს ოპოზიცია ისევ ცდილობს, მონასტერი არიოს, მაგრამ დასავლეთში მათ სიტყვას ფასი აღარ აქვს. ოპოზიციამ ის როლი, რაც საქართველოში დასავლეთის პოლიტიკის შემუშავება იყო, დაკარგა.

— ოპოზიციის წინასაარჩევნო კამპანიას როგორ შეაფასებთ? თუკი ადრე იძახდნენ: ჩვენ დასავლურ კურსს ვატარებთ, ხელისუფლება კი — რუსულსო, ახლა აქცენტს სოციალურ თემებზე აკეთებენ. რატომ შეცვალეს რიტორიკა?

— რიტორიკაში ცვლილება მათი თერთმეტწლიანი მარცხით არის განპირობებული, მაგრამ ეს დასკვნა აქამდე რატომ ვერ გამოიტანეს, ამაზე ვერ გიპასუხებთ. მეჩვენება, რომ თავიანთი შეთავაზებებით მაინც წვრილმან დონეზე დარჩნენ.

— მნიშვნელოვანი იყო ბრიუსელში ნატო-საქართველოს კომისიის სხდომის გამართვა. სტოლტენბერგმა სიტყვით გამოსვლისას რუსეთიდან მომდინარე შესაძლო რისკებზე ისაუბრა. რას უნდა ველოდოთ ახლო მომავალში, როგორ გაგრძელდება ნატო-სა და საქართველოს შორის პარტნიორობა?

— ძნელი სათქმელია. სავარაუდოდ, ნატო-ს მალე ახალი ხელმძღვანელობა ეყოლება. სისტემა, როგორც წესი, მუშაობს, მაგრამ ახალი ხელმძღვანელი რა დეტალებს დაამატებს, ეს შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს. ახლა ისეთი ვითარებაა, ყოველ ახალ დეტალს მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, დეტალი იმის თაობაზე, მიიღონ თუ არა უკრაინა ნატო-ში. თუ მიიღეს, მაშინ ნატო-ში გაწევრიანება ჩვენთვისაც რეალისტური გახდება.

მეორე მხრივ, უკრაინის და საქართველოს თავის ორგანიზაციაში მიღება, ადრე ნატო-ს თვითონ ეშინოდა და, ალბათ, ისევ შეეშინდება. ამ ორი ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება ნატო-სა და რუსეთს შორის კონფლიქტის გაღვივებას შეუწყობს ხელს. წავა დღეს ნატო ამაზე?

— ნატო, რომელიც ხედავს, რომ რუსეთს შეუძლია იმავე რაოდენობის შეიარაღება აწარმოოს, რაც მთელ დასავლეთს ერთად აღებულს. რუსეთმა შეიარაღების ოდენობით დასავლეთს გაუსწრო, რაც ამ კონფლიქტში მნიშვნელოვანია. თუ ნატო რუსეთს ამ ფაქტორის გამო მოერიდება, ეს უკვე მის ფასს გააფერმკრთალებს. ის ისედაც მნიშვნელობადაკარგული ორგანიზაცია იყო. გავიხსენოთ მაკრონის ადრინდელი გამონათქვამები ნატო-ზე. მის წარმოუდგენელი სამხედრო-სახელშეკრულებო ურთიერთობა დღის წესრიგში დადგეს.

— როგორ გესახებათ ღარიბაშვილის როლი პარტიის თავმჯდომარის ამპლუაში?

— თავდაპირველად ძალიან აქტიური არც კობახიძე იყო. იგი პოლიტიკურ პარტიებს შორის ვითარების გამწვავების პროპორციულად გააქტიურდა. იგივე მოხდება ღარიბაშვილის შემთხვევაშიც. ჩემი აზრით, ერთ-ერთი უმთავრესი, რასაც ღარიბაშვილი საკუთარ თავზე აიღებს, მოსახლეობასთან აქტიური შეხვედრები იქნება. იგი მოსახლეობას როგორც პიროვნება და პოლიტიკოსი, ძალიან უყვარს. ეს სიყვარული მაქსიმალურად გამოყენებული იქნება. არჩევნების დროს ყველაზე კარგი პროპაგანდა, რასაც ამომრჩეველი ემორჩილება და რის გამოც საარჩევნო ყუთთან მიდის, პოლიტიკოსებთან მათი შეხვედრა, ხელის ჩამორთმევაა. ანუ, ადამიანური ურთიერთობების გამოყენებას ღარიბაშვილი ყველაზე უკეთ შეძლებს.

— პარლამენტის თავმჯდომარის წლიურ ანგარიშს როგორ შეაფასებთ?

— პაპუაშვილი მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარე ხომ არ არის, კონკრეტული პოლიტიკური პარტიის წევრიცაა. ამიტომ მისი რიტორიკა ნაცების, ენჯეოების მიმართ გასაკვირი არ არის. ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარე იყო და ოპოზიციასთან გადასარევი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ საჯარო დისკუსიისას საშინლად დაუნდობელი იყო. თუ ოპოზიციას სურს, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ საკუთარი პარტიის ინტერესები არ გაატაროს, ეს სურვილი არ აუსრულდებათ. გამოკითხვა რომ ჩავატაროთ, არიან თუ არა რიგი ენჯეოები, ნაცები ქვეყნის მტრები, დავინახავთ, რომ ხშირად მოსახლეობაც ამავე პოზიციაზეა. გვიკვირს, საიდან ჩნდება ოპოზიციის, არასამთავრობოების მიმართ რეპლიკები, რომ ქვეყნის მტრები არიან?! განა, ოპოზიცია თავად არ ამბობს, ჩვენი კოლეგები ევროპელებს სთხოვდნენ, სტატუსი არ მოგვცეთო?! მერე ოპოზიციის მიმართ აგრესიულობა პაპუაშვილს უნდა დავაბრალოთ?! როცა არსებობს ფაქტები, რომ ენჯეო სექტორს აქვს მცდელობა, დასავლეთის თვალში საქართველო წამგებიან პოზიციაში ჩააყენოს, ამას პაპაუაშვილიც თუ აღნიშნავს, ესე იგი მათ ცილს სწამებს?! რადგან ამ სფეროში სასამართლო დავა არ არსებობს, ყველას შეუძლია, მედალი მეორე მხრიდან შეატრიალოს და თქვას, პაპუაშვილი ჩვენ მიმართ აგრესიულიაო. შალვა პაპუაშვილია აგრესიული, თუ ოპოზიცია ემსახურება აგრესიას თავისი ენჯეოებით?!



მიმართ ცოტა პატივისცემა ბოლოს უკრაინის ომის მერე გამოავლინეს. თუ მიგვიღებს ნატო, ხომ კარგი, თუ არადა, არსებობს კიდევ რამდენიმე ვარიანტი: იყო ლაპარაკი, რომ საქართველო ეცადოს, ამერიკასთან ისეთივე ხელშეკრულება დადოს, როგორიც ისრაელს აქვს. ისრაელი არ არის ნატო-ს წევრი, არც სჭირდება, რადგან დახმარების საჭიროების შემთხვევაში, აშშ მის გვერდითაა. გამორიცხული არ არის, რომ ანალოგიური მექანიზმი საქართველოსთვის უფრო შედეგიანი, საინტერესო და, რაც მთავარია, პერსპექტიული აღმოჩნდეს. თუ გავითვალისწინებთ, რამდენად არის დაინტერესებული უშუალოდ ამერიკა ჩინეთის თემით და იმით, რომ ჩინურ ტრანზიტზე კონტროლი დაამყაროს, მაშინ გამორიცხული არ არის, რომ ამერიკასთან ადრე

თამარ შველიძე

უნდა მოხდეს ბოლო 30 წლის სწორი შეფასება!

რა იმალება გეიპროპაგანდის და გლობალური ჰეგემონიის შენარჩუნების სასოწარკვეთილი მცდელობის მიღმა? განა არ იციან, რომ არც ქართველი და საღად მოაზროვნე არც ერთი საზელმწიფო არ დაუშვებს, რომ მისი ერის გენოციდი და გადაგვარება მოაწყოს. იციან!!! მაგრამ იმ ფონზე, სანამ თითქოს გავლენიან გეიპროპაგანდას ვებრძვით, მიდის გამალებული ბრძოლა, შენარჩუნდეს კონტროლი ეკონომიკურ ინსტიტუტებზე და ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესების დაუშვებლობაზე!

და ახლა დავაკონკრეტებ, რას გადავრჩით, როცა ჩვენს ქვეყანაში დედოლარიზაცია მოხდა და ეროვნული ვალუტა - ლარის გამყარება დაიწყო!!!

● მეორე მსოფლიო ომის მერე, როცა მსოფლიო გადანაწილება მოხდა და გარკვეული საზღვრები დადგინდა, რატომღაც მაშინ საბჭოთა კავშირისა და სოც. რესპუბლიკების გარდა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მოახერხა და ნებისმიერი ვალუტის სიმყარე არა ოქროთი, არამედ ამერიკული დოლარით განისაზღვრა და ევროპის ქვეყნების ოქრო მარაგი ე. წ. ამერიკის სარეზერვო საცავებში გადავიდა!

სისტემას დაერქვა კაპიტალისტური და მოჩვენებითი ნათელი ცხოვრებით დოლარი გაძვირდა, როგორც ფულის ერთეული, თავად აშშ-ს კი ტრილიონობი ვალი აქვს დღეს!

ეკონომიკური წიაღსვლებით არ დაგღლით, მაგრამ ეს იყო ამერიკის შეერთებულ შტატების მიერ ევროპისა და არა მარტო, ქვეყნების მართვისა და მანიპულირების ბერკეტი!

● გარდა ფულისა, საჭირო იყო ნავთობი, გაზი, მოკლედ, არსებობისთვის მნიშვნელოვანი ენერგორესურსები, რომელიც უხვად და ბლომადაა არაბეთის, აზიის, აფრიკის ქვეყნებში. და ასევე, უდიდესი მარაგია რუსეთში!

● მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, ერთ დროს მსოფლიოში „მოგრიმიტე“ ქვეყნებს, ადამიანების დამონების ოსტატებსა და კოლონიზატორებს, ხელიდან გამოეცალათ ერთმანეთის მიყოლებით არაბეთის, აზიისა და აფრიკის ქვეყნები.

● კოლონიზატორებისგან გათავისუფლება არც ისე ადვილი აღმოჩნდა, რადგან სახეცვლილი კოლონიზატორები, რომელთა გამდიდრება ადამიანების დამონებით მოხდა, მსოფლიოს ახლა უკვე მოევლინენ, როგორც დემოკრატები და ადამიანის უფლებების დამცველები!!!

რომელთა ყველაზე მთავარი მიზანი იყო საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური ქვეყნების დაშლა, რადგან მაშინდელ მსოფლიოში მხოლოდ ეს ქვეყნები არ ექვემდებარებოდნენ მსოფლიოში დემოკრატიის სახელით გამეფებულ ჰეგემონს!!!

● მოკლედ, ყველას გვახსოვს, რომ ეს ძალები ჩვენთან შემოიჭრენ 90-იანი წლებიდან და, ფაქტობრივად, მას მერე ქვეყანამ დაკარგა ტერიტორიების 20%, ბოლომდე ჩამოიშალა ქვეყნის ეკონომიკა, სადღაც გაქრა მეცნიერება. ალბათ. ჭკვიანი თავების გადინება ქვეყნიდან სწორედ ეს პროცესი იყო. დაინგრა და გაჩანაგდა სოფლები და ვიტყვი ხმამაღლა, რომ ძმათა ომში ჩაიხოცა საჯიშე თაობა!!!

● ნგრევის და განადგურების ფონზე, აგერ, უკვე 30 წელია, ვჭამთ აყვავებული ეკონომიკისა და დამოუკიდებლობის ზღაპრებს!!!

ერთ დროს ამაყი და წელში გამართული ქართველი მოსამსახურედ იქცა უცხო ქვეყნების ოჯახებში, ერთ დროს მშვიდობიანი და ბედნიერი დილა მუდმივი შიშით ჩანაცვლდა!!!

● თვალები უნდა გავახილოთ და ყურები გამოვიბერტყოთ!!!

უნდა მოხდეს ბოლო 30 წლის სწორი შეფასება!!!

გავიგოთ, ვინ მტერია და ვინ მოყვარე!!!

რამ განაპირობა და ვინ გააღვივა ომის ნაპერწკალი ჯერ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მერე ესეც არ გვაკმარეს და ქვეყნის შიგნით სამოქალაქო ომი გავიჩაღეს!!!

უნდა გავიგოთ, რა ჯანდაბას მოხდა!!!

● მახსოვს, დედოლარიზაციას სწორედ ისინი ეწინააღმდგებოდნენ, ვინც ახლა გამწარებული ცდილობდა, ქვეყნაში ომი დაწყებულიყო და მეორე ფრონტი გაგვეჩაღებინა!!!

დედოლარიზაცია ხომ ქვეყნის ეკონომიკის ფეხზე დადგომის დასაწყისია!!!

საქართველოში შემოსული ნებისმიერი ადამიანი ვალდებულია, რომ მხოლოდ ეროვნული ვალუტით მოახდინოს ანგარიშსწორება!

განსხვავებით ჩვენი მეზობელი ქვეყნისა - სადაც ნებისმიერი ვალუტა „ხოდშია“, ეკონომიკა კი — ძალიან მყიფე!!!

ალბათ, ეს გასაკვირი არ არის, თუ გავითვალისწინებთ ამერიკის შეერთებული შტატების გავლენას გარკვეული ქვეყნების შიდა პოლიტიკაზე!!!

● ხოდა, მოდით, რა, თავს ნუ დაიდებილებთ დემოკრატიით, რომლის არსებობა არც არასოდეს აწყობდათ საქართველოში; თავს ნუ მოვიტყუებთ, რომ ისინი, ვინც სააკაშვილის, ნაცების რეჟიმს აძლიერებდა და დღემდე ასეა - ოდესმე შენზე, ჩემზე და ქვეყნის ნათელ მომავალზე იფიქრებენ!!!

● მე არ ვიცი, დასავლეთში დარჩა თუ არა საღად მოაზროვნე თავები, რაც მესმის, იმდენად დიდი იდიოტობაა, რომ სერიოზულად მაფიქრებს!!!

● მაგრამ ის, რომ დღეს ჩვენი სამშობლოს მმართველი თავები აზროვნებენ, ფიქრობენ და ქვეყანაც და ადამიანებიც უყვართ, ფაქტია!!!

მაგრამ ფაქტი ისიცაა, რომ ქვეყნის მტრებიც და სამშობლოს მოღალატეები კარგად მომძლავრებულია ქვეყანაში და ჩვენზე უკეთ შეიარაღებული მართავენ სრულად მედიას და ამას ისე ახერხებენ, რომ შეგშურდება, ადრე თუ ბოკერია-რამიშვილი იყო უსტაბაში, ახლა პირდაპირ საელჩოებისგან დაფინანსებული არასამთავრობოები არიან და ე. წ. სამთავრობო ჟურნალიგებს არც კი უტყდებათ. ისე არიან ნოდარისმაგვარი დირექტორების ბრძანების შემსრულებლები!!!

● ასე რომ. არც კი მიკვირს. ჯალათი გაგა მკურნალიძეებისა და მისდაგვარი ნაძირალების ფარული ალიანსები რომ გაცხადდა!!!

● ძალიან რთული და გადამწყვეტი წელიწადი გველოდება!!!

ნუკა არველაძე
FACEBOOK

მწვანე და მემარცხენე პოლიტიკურმა კლასმა ევროპის ოცნება გააუპატიურა

რა ანტიევროპული და რა ანტიდასავლური დეზინფორმაციული კამპანიაა, რა დაიჩივლა ბორელმა, ან რას ჩიოდა ვიოლა ფონ კრამონი, რა ჩაუფლავდა „ოცნებასო“, რას გვემართლებიან? რაც ძალი და ღონე აქვს საქართველოს მთავრობას, ევროპისკენ მიისწრაფვის და თვითონვე აღნიშნა რომელიღაცა ევროპელმა, თბილისში რომ ჩამოვედი, ევროკავშირის დროშების სიმრავლე დავინახე, რაც ევროპისკენ სწრაფვას ნამდვილად ადასტურებსო და მუდამ ჩვენ რომ გვარიგებენ, ერთხელ აქედანაც ვურჩევდი — თავისივე „დასავლელებს“ მიხედონ. თვითონ დუღან შიგნით, გარეთ კი იმდენი ორთქლი გამოდის, ვეჭვობ, სხვაზე გადასასხმელი ანგლოსაქსური მდუღარე თავადვე არ გადაესხათ...

ისეთი ამბავი გაუდით, საიდან დავიწყო, არ ვიცი...

დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრი ლიზ ტრასი: „ჯო ბაიდენი თეთრი სახლიდან არის გასაგდები. მე დიდი ბრიტანეთის მინისტრთა კაბინეტში როგორც ტრამპის, ისე ბაიდენის პრეზიდენტობის დროსაც მიმუშავია. შემიძლია გითხრათ, რომ დასავლეთი უფრო დაცული მეგულებოდა როდესაც ტრამპი იყო პრეზიდენტი. რა თქმა უნდა, თეთრ სახლში „რესპუბლიკელი“ პრეზიდენტი უნდა დაბრუნდეს. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ ეს ამერიკას ძალიან სჭირდება. არა, ეს სასწრაფოდ სჭირდება მთელ თავისუფალ სამყაროს, იმიტომ, რომ, მოგწონთ თუ არა ეს, აშშ არის თავისუფალი სამყაროს ლიდერი“.

ბუნდესტაგის ყოფილი დეპუტატი, გერმანელი პოლიტიკოსი სარა ვაგენკნეხტი („გერმანიის ხმა“): „თუ აშშ თქვენი მოკავშირეა, მაშინ მეტი მტერი თქვენ არ დაგჭირდებათ“.

ცალკე ბრიტანელ ყოფილ პრემიერ-მინისტრ ბორის ჯონსონსა და ამერიკელ ჟურნალისტ ტაკერ კარლსონს შორის დაიწყო სიტყვიერი ომი. კარლსონმა განაცხადა, რომ ჯონსონმა, ჟურნალისტისგან ინტერვიუში მილიონი დოლარი მოითხოვა, რომელიც რუსეთისა და უკრაინის ომის თემაზე წარიმართებოდა. თავის მხრივ, ჯონსონმა კარლსონი „ტირანის საყრდენად, დიქტატორის დიქტოფონად და ჟურნალისტიკის მოღალატედ გამოაცხადა. ტაკერ კარლსონს სიცილადაც არ ჰყოფნის ჯონსონის გაწიწმატება და დასცინის, მე კრემლის იარაღს თუ რაღაც მსგავსს მიწოდებს და რადგან მუდმივად მგმობს, როგორც კრემლის იარაღს, ამიტომ მოვითხოვე მასთან ინტერვიუ თუმცა გადმომცეს, რომ ეს მილიონი დოლარი ეღირებოდა. კარლსონი დასცინის მისტერ ჯონსონს, რომლის ნამდვილი გვარ-სახელია ალექსანდრე ბორის დე პფეფელ ჯონსონი. „მისი სახელი ნამდვილად არ არის ბორისი... მისი სახელია ალექს ჯონსონი. ის საკუთარ თავს ბორისს უწოდებდა სკოლაში. კაცი, რომელიც საკუთარ თავს ბორისს უწოდებს, მე მადანაშაულებს?“

უნგრეთის საგარეო საქმეთა და ვაჭრობის მინისტრი პიტერ სიიარტო: „ჩვენ არ გვჭირდება აშშ-ის კონგრესის დელეგაციების მიერ ჩატარებული ლექციები იმის თაობაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს, ან რა არ უნდა გაკეთდეს უნგრეთში. ახლა სიტუაცია იმგვარია, რომ ამას უნგრელი ხალხი გადაწყვეტს, ჩვენ კი განვახორციელებთ.“ სიიარტომ ასევე აღნიშნა, რომ გადაწყვეტილება, არ მიეღოთ აშშ-ის დელეგაცია სამთავრობო დონეზე, სწორი იყო იმ თემებიდან გამომდინარე, რომლებიც კონგრესის დელეგაციის წევრებმა წინა დღეს პრესკონფერენციაზე წამოაყენეს, რადგან მათ აშკარად სურდათ უნგრეთის საშინაო პოლიტიკისა და ევროკავშირის საკითხების განხილვა. სიიარტომ განაცხადა, რომ ეს მათი (აშშ-ის) საქმე არ არის.

ბელგიელ ევროპარლამენტარ ტომ ვანდერდისშს ევროპარლამენტის პრეზიდენტმა რობერტა მეცოლამ მას შემდეგ გამოუცხადა საყვედური, რაც მან ევროკავშირის კომისარ ილვა იოჰანსონის მოწოდებას, მიგრანტებით მომხდარიყო ევროპის კლებადი მოსახლეობის კომპენსირება, „ორგანიზებული რეპოპულაცია“ უწოდა. ამის გამო მის წინააღმდეგ გამოძიებაც ჩატარდა სიძულვილის ენის სავარაუდო გამოყენების ბრალდებით. ტერმინი „დიდი ჩანაცვლება“ სულ უფრო ხშირად ისმის და მიემართება ღია საზღვრების პოლიტიკისკენ, რომელიც დასავლეთის ლიბერალურმა მთავრობებმა მიიღეს, თუმცა ამ ტერმინის გამოყენებისთვის პოლიტიკურ ფიგურებს სჯიან.

ლიზ ტრასი

ჯო ბაიდენი გასაგდებია, თეთრ სახლში „რესპუბლიკელი“ უნდა დაბრუნდეს

იტალიის ვიცე-პრემიერ მატეო სალვინის პარტია და ევროპიდან 14 სხვადასხვა სუვერენული პარტია, მათ შორის: მარინ ლე პენის პარტია „ეროვნული გაერთიანება“, „ალტერნატივა გერმანიისთვის“, „ავსტრიის თავისუფლების პარტია“, გერტ ვილდერსის „თავისუფლების პარტია“, რომელმაც ცოტა ხნის წინათ ნიდერლანდებში ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა, პორტუგალიიდან პარტია „ჩეგა“, პოლონეთიდან „კონფედერაცია“, „დანიის სახალხო პარტია“, „ესტონეთის კონსერვატიული სახალხო პარტია“ და ახალი პოტენციური წევრები რუმინეთიდან და ბულგარეთიდან, ცოტა „აჯანყებული“ არ არის.

„ჩვენთვის სასწორზე (ევროკავშირის არჩევნები) ხალხისთვის ძალაუფლების დაბრუნება დევს“, — განაცხადა მარინ ლე პენმა ვიდეომიმართვაში და მაკიაველის სიტყვები მოიშველია: „ტირანების შექმნილი საუკეთესო ცხესიმაგრე ხალხის უმოქმედობაა.“

ნიდერლანდების საპარლამენტო არჩევნებში „თავისუფლების პარტიამ“ გაიმარჯვა, რომლის ლიდერი გერტ ვილდერსი სასტიკად ეწინააღმდეგება უკრაინისთვის დახმარების გაწევას და ტრადიციული ფასეულობების მატარებელია. მას მიაჩნია, რომ ნირედლანდებმა თვითონ უნდა აკონტროლოს საკუთარი საზღვრები, ფული და კანონები და ამიტომ, ევროკავშირიდან გასვლაზე რეფერენდუმი უნდა ჩატარდეს. ასევე, მას საჭიროდ მიაჩნია, რომ მთავრობამ დაფინანსება უნდა შეუწყვიტოს ყველა ტიპის მემარცხენე პოლიტიკურ აქტივობებს, მათ შორის, „გენდერულ საკითხებზე, კლიმატის სიგიჟეებსა და მრავალფეროვან სისულელეებზე“;

მატეო სალვინი, გეროლდ ანემანსი, ტინო ხრუპალა, კოსტადინ კოსტადინოვი, ჯორჯ სიმიონი: „ევროპელებს ექნებათ არჩევანი. ერთ მხარეს თავისუფლებაა, მეორე მხარეს კი შიში; ერთ მხარეს უფლებები და სამუშაო ადგილებია, ხოლო მეორე მხარეს — ექსტრემიზმი... ქალები და მამაკაცები დაამარცხებენ იმ გიგანტს, რომელიც ევროპის პირველი მტერია — მასონური ბიუროკრატიული რეალობა! ჩვენ არ გვეშინია! ჩვენ ევროპას არ ვუპირისპირდებით, პირიქით, მას ვუჭერთ მხარს. მწვანე და მემარცხენე პოლიტიკურმა კლასმა ევროპის ოცნება გააუპატიურა. ყველამ, ვინც კრიტიკულად არის განწყობილი ევროკავშირის მიმართ, ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლოს. გაერთიანებულ და კონსოლიდირებულ მემარჯვენე ცენტრს შეუძლია გაიმარჯვოს და ბრიუსელი იმ ადამიანებისგან გაათავისუფლოს, რომლებიც უკანონოდ არიან ამ ქალაქში მოკალათებულები და თავიანთ ინტერესებს ახორციელებენ. გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ჩვენს ქვეყნებზე, ისეთმა ადამიანებმა უნდა მიიღონ, რომლებიც კარგად იცნობენ მათ და უყვართ. არ გვინდა გლობალისტური ევროპა! ჩვენს უკან ათობით მილიონი ევროპელი დგას. მილიონობით ევროპელი, რომლებსაც არ სურთ, საკუთარ სახლებში სტუმრები იყვნენ. ჩვენ სოლიდარობას, უსაფრთხოებას, თავისუფლებასა და საკუთრებას ვუჭერთ მხარს. ჯოჯოხეთში ვართ, თუმცა, გვაქვს ისტორიული შესაძლებლობა, რომ ჯერ სალხინებელში გადავინაცვლოთ, შემდეგ კი სამოთხეში. ამას მხოლოდ საერთო ძალისხმევით მივაღწევთ.“ ამ მიზნის მისაღწევად სალვინი მოწოდებით გამოვიდა, რომ ბრიუსელში დიდი მემარჯვენე კოალიცია შექმნან.

ამ ადამიანებმა მიიღეს საარჩევნო პროგრამა „ფლორენციის მანიფესტი ხალხებისა და ქვეყნებისთვის“, რომელშიც ნათქვამია, რომ არა მხოლოდ ინდივიდებს, არამედ ქვეყნებსაც აქვთ უფლებები. პროგრამაში გაკრიტიკებულია ციფრული სერვისების აქტი, რომელიც ინტერნეტში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვას ითვალისწინებს; ასევე, „მწვანეთა“ დღის წესრიგი, რომელიც იწვევს ფასების ზრდას და ზიანს აყენებს ევროპის მრეწველობას; რომ, ევროპული ინსტიტუტები გამჭვირვალობის საშინელ ნაკლებობას განიცდიან;. ისინი ამბობენ, რომ უნდა შეიცვალოს ხელშეკრულებები და შეიქმნას ევროპის „სუპერსახელმწიფო“.

უყურებს ამ ევროპულ ბაკქანალიას სხვაც და აგერ, დომიტრი მედვედევმა უკვე საქვეყნოდ დაწერა, რომ დასავლეთისგან რუსეთის სრული იზოლირების მომხრეა, რადგან ვერ ხედავს აზრს, რატომ უნდა იყოს რუსეთი ისეთ არაფრისმომცემ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორიც თუნდაც გაეროა, რომლის მიზანი რუსეთის განადგურებაა; რა აზრი აქვს ისეთ ცრუ „საერთაშორისო სამართლის პრინციპების“ აღიარებას, რომელიც მხოლოდ ამერიკელების ინტერესებს ემსახურება; რა აზრი აქვს დიპლომატიურ ურთიერთობებს ისეთ ქვეყნებთან, რომლის მიზანი შენი ქვეყნის მტრობაა და ა. შ.

ჩამონათვალი ვრცელია, თუმცა საინტერესო და საგულისხმოც კი...

ჩვენს სანუკვარ ევროპაში კი, ნეტავ, მართლაც რა ხდება ისეთი, რაც თვით ევროპელებსაც არ მოსწონთ?!

მაია ჭელიძე

სტაბილური საქართველო ამერიკას არ აწყობს

გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:

— ქალბატონო ნანა, ახალმა პრემიერმა საქართველოსა და ამერიკას შორის ურთიერთობების შესუსტებაზე ისაუბრა. ოპოზიციამ არ დააყოვნა და აღშფოთება უმალ გამოხატა, კობახიძემ ჩინეთსა და ამერიკას შორის ტოლობის ნიშანი დასვაო.

— ფაქტია, ამერიკა დღეს უფრო ღია პოლიტიკას აწარმოებს, ვიდრე 10-15 წლის წინათ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მას სურვილი აქვს, რაც შეიძლება მეტი ქვეყანა აკონტროლოს და მათზე გავლენა მოიპოვოს. გავლენის გაძლიერებაში იგულისხმება, რომ აშშ მოითხოვს, მისი მონა გახდე და საკუთარი ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება კი არ გყავდეს, როგორიც ეს დღეს არის, არამედ, ქვეყნის სათავეში მისი „ნამესტნიკების“ ხილვა სურთ. აი, რა უნდათ. აქედან გამომდინარე, პრემიერობასაც და სხვა თანამდებობესაც მხოლოდ თავიანთ „ნამესტნიკებს“ მიულოცავენ. კობახიძე კი ამ კატეგორიაში არ გადის. ეს ამერიკის სურვილებია, მაგრამ ჩვენ რა გვინდა? — დამოუკიდებელი, თავისუფალი ქვეყანა და ის, რომ, მიუხედავად ტერიტორიული და მოსახლეობის სიმცირისა, ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს.

რაც შეეხება ჩინეთს, მას საქართველოში ეკონომიკური ინტერესები აქვს და ურჩევნია, ჩვენი ქვეყანა მშვიდი, დაცული იყოს, რადგან აქ უზარმაზარმა ტვირთებმა, ანუ ფულმა გაიაროს. ჩინეთის ინტერესებში არ შედის აქ არეულობა, დესტაბილიზაცია. ის ფიქრობს, რომ ეკონომიკურად უნდა მოძლიერდეს და სანდო მოკავშირეებს ეძებს. მან დაინახა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე მისი ტვირთების გატარება არის ყველაზე უსაფრთხო. ამიტომ გაკეთდა აქცენტი ჩვენს ქვეყანაზე. ამერიკა ხედავს, რომ ჩინეთის სახით მისი საპირწონე გამოჩნდა, რომელსაც ფინანსურ დაინტერესებასთან ერთად ჩვენი ქვეყნის სტაბილურობა აწყობს. სტაბილური საქართველო კი აშშ-ის გეგმაში არ შედის!

— წინ საპარლამენტო არჩევნებია. ამომრჩეველთა ხმები როგორ გადანაწილდება?

— არჩევნები მხოლოდ ჩვენთან კი არა, მსოფლიოს 47 ქვეყანაში ტარდება. მსოფლიო მასშტაბით არჩევნების წელია, რამაც მომავალი სამყაროს ბედი უნდა განსაზღვროს. ანუ, მმართველობაში დარჩება თუ შეიცვლება ის საშინელი ძალა, რომელიც ამ ხნის განმავლობაში მსოფლიოზე ბატონობს. იმედია, ცვლილებები მოსახლეობის ინტერესების სასარგებლოდ მოხდება. ხალხის უმრავლესობა კონსერვატიულ აზროვნებას ემხრობა. მას საკუთარი ქვეყანა, ტრადიციები, თვითმყოფადობა აღელვებს. ცვლილებები რომ განხორციელდება, სულ სხვა რეალობა შეიქმნება.

იმედია, აშშ-სთან, ისევე, როგორც ევროპასთან, თანაბარი პარტნიორობის რეჟიმში გადავალთ და ეს ურთიერთობები აღარ იქნება ვასალური, დამამცირებელი, როგორიც დღეს არის. ჩვენ უნდა შევძლოთ თანაარსებობა ისე, რომ ჩვენი სახელმწიფოებრიობა და სუვერენიტეტი შევინარჩუნოთ და პარტნიორული ურთიერთობა კიდევ ბევრ სხვა ქვეყანასთან გვქონდეს. მაგრამ ეს უნდა იყოს პარტნიორობა და არა მონობა, ცალ ფეხზე დგომა. კი ბატონო, აშშ-ის ინტერესებსაც გავატარებთ. ვიცით, რომ პატარა ქვეყანა ვართ და ვიღაც-ვიღაცების ინტერესების დაკმაყოფილება მოგვიწევს, მაგრამ ეს ისე უნდა მოხდეს, რომ საქართველოს ინტერესები არ დაზიანდეს. სწორედ ამას ცდილობს ხელისუფლება. როგორც კი არჩევნები დასრულდება, აშშ-სთან და სხვა ქვეყნებთანაც უნდა ვითანამშრომლოთ როგორც პარტნიორებმა და არა როგორც ვასალებმა.

— რამდენიმე დღის წინ ამერიკულმა გამოცემამ ივანიშვილი ოლიგარქად დაასახელა.

— ამ აგენტებს, რასაც ოპოზიციას ვეძახით, გარედან აფინანსებენ და სახელმწიფოს ჩამოშლის მცდელობაში მხარში უდგანან. ვინ უნდა იყოს ამ შემთხვევაში სამიზნე, ვისზე უნდა გაკეთდეს დარტყმა? — რა თქმა უნდა, იმ ადამიანზე, ვინც დღეს ქვეყნის სტაბილურობისა და სიძლიერის გარანტია. ასეთი გახლავთ ივანიშვილი. ყველაფერი, მათ შორის, მოლოტოვის კოქტეილებით პოლიციის მანქანების დაწვაც, ხომ ქვეყნის დაქცევას ემსახურება. ამის უკან დასავლეთი დგას. გახსოვთ, ზურაბიშვილმაც როგორ აუბა მხარი ამერიკიდან ამ ქმედებებს.

დღესავით ნათელია, რომ მთელი აგენტურული ქსელი ქვეყნის ჩამოშლაზე მუშაობს. ივანიშვილისთვის ზიანის მიყენებაც ქართული სახელმწიფოს მოშლის გეგმაში ჯდება. არავის გაკულტებას არ ვაპირებ, მაგრამ ყველა ადამიანს თავისი როლი და ფუნქცია აქვს. ივანიშვილის ერთ-ერთი ფუნქცია სისხლიანი რეჟიმის ხელისუფლებიდან გაშვება იყო. დღეს კი იგი, ფაქტობრივად, ქვეყანაში მშვიდობის გარანტად იქცა, რომელმაც ჩვენი სამშობლო მეორე ფრონტის გახსნისგან იხსნა და ამით სახელმწიფოებრიობა შეინარჩუნა. აი, ამის წინააღმდეგ იბრძვიან შიდა და გარე მტრები, საქართველოს არაკეთილმოსურნენი.

— ზურაბიშვილს მიუნხენში ერთ-ერთ პანელში მონაწილეობისას პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სააკაშვილის შეწყალებისკენ მოუწოდა. რამდენად არის ეს ეტიკეტის დარღვევა ქვეყნის პირველი დიპლომატისგან, როცა ის პატიმრის ციხეში ყოფნის სამართლიანობას ეჭვქვეშ აყენებს?

— როგორც აღვნიშნე, დღეს მსოფლიოში ღია პოლიტიკა წარმოებს. ანუ, იმ სიბინძურეს, რაც პოლიტიკაში ხდება, აღარავინ ფუთავს. პოლიტიკა ბინძური საქმეაო, ნათქვამია. ჩემი აზრით, მას, უბრალოდ, ბინძური ადამიანები აბინძურებენ. ჩვენი დაუძინებელი მეგობრებიც, სამწუხაროდ, ჩვენს წინააღმდეგ, ქვეყნის საზიანოდ ილაშქრებენ. სააკაშვილმა 9-წლიანი სისხლიანი რეჟიმი გამოგვატარა. ამ დროს ზურაბიშვილს ეუბნებიან, სისხლიანი რეჟიმის შემოქმედი გაათავისუფლეო. თან ამას ითხოვენ მაშინ, როცა თავადაც მშვენივრად იციან მიშას დანაშაულების შესახებ. ეს უზნეობაა. სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეებს ცხოვრება ჯოჯოხეთად უქცია — უდანაშაულო პირტიტველა ბიჭებს ქუჩებში ხოცავდა, რათა ხალხში მასობრივი შიში დაეთესა. რომელი ერთი ჩამოვთვალო ბუტა რობაქიძიდან დაწყებული, სანდრო გირგვლიანით დამთავრებული.

მიშას ავკაცობის სია იმდენად დიდია, „საერთო გაზეთის“ ფურცლები ვერც დაიტევს და არც წასაკითხად იქნება იოლი. სააკაშვილის მკვლელი ბუნება ქვეყანაში სტატისტიკას ქმნიდა. სტატისტიკა გახლდათ ციხეებში პატიმრების წამება, არაადამიანური მოპყრობა, ასევე, უდანაშაულო ადამიანების ხოცვა-ჟლეტა, ბიზნესის რეკეტი, საზოგადოების გაკულაკება. ამიტომ სააკაშვილი კი არ უნდა შეიწყალო, ჩემი აზრით, ის განაჩენიც, რომელიც მის მიმართ არის დამდგარი, მთელი ქვეყნისთვის ღირსების შემლახავი, არაადეკვატური სასჯელია. მონიტორინგი რომ ჩაატაროთ, გაოცდებით, რისთვის იხდიან ადამიანები ექვსწლიან სასჯელს.

სააკაშვილის პატიმრობას ციხეში ჯდომა ჰქვია?! აბა, საავადმყოფოში ვინც წევს, ისინი ვინ არიან?! ამ ფონზე ბედავენ და ნაცები, მისი ლობისტები მის მიმართ არაადეკვატურ მოპყრობაზე, წამებაზე საუბრობენ. თურმე, 24 საათი კამერების მეთვალყურეობის ქვეშაა, ამის გამო სტრესშია და უნდა გათავისუფლდესო. სააკაშვილი სიმულიანტია. ვერცერთმა სამედიცინო კომისიამ, მათ შორის, ვერც იმ აფერისტმა პოლონელმა ექიმებმა ვერ შეძლეს დაედასტურებინათ, რომ სააკაშვილს სიცოცხლისთვის საშიში რაიმე დაავადება სჭირს. ამ დროს ვიღაც ხელისუფლებაში ვერ დაბრუნდება. ყველაფერი საზოგადოების შეცდომაში შეყვანის, დაბნევისთვის კეთდება. ჩრდილოეთ კაბინეტს იმ შემთხვევისთვის ამზადებენ, თუ ქვეყნის ჩამოშლას მოახერხებენ. მათი მიზანი დესტაბილიზაციის გზით ძალაუფლების ხელში აღებაა. სხვაგვარად ამის მიღწევა შეუძლებელია.

შევთანხმდეთ, რომ „ნაცმოძრაობა“ ოპოზიცია კი არა, კრიმინალური ძალაა. კრიმინალი მათი აგენტურული საქმიანობიდან მომდინარეობს. სააკაშვილის ლიდერობაზე არავინ ფიქრობს. ასეთი ლიდერი, რომელმაც რუსეთთან ომი სამარცხვინოდ წააგო, არავის სჭირდება. ეს ქართული ჯარის კი არა, პირადად სააკაშვილის წაგებული ომი იყო.

— სააკაშვილის გეგმა ჯანაშიამ გაამჟღავნა: მიშას თავისუფლება სჭირდება, რათა წინარევოლუციურ პროცესებში მონაწილეობა მიიღოსო.

— ვერ გეტყვით, რამდენად მზად არის ოპოზიცია რევოლუციის მოსაწყობად. კი ბატონო, სურვილი აქვთ, მაგრამ რევოლუციას სახალხო მხარდაჭერა სჭირდება, რაც არ არსებობს. მაშინ მოდი, სწორი შეფასება გავაკეთოთ, რისთვის ემზადებიან — ესენი კი არ ემზადებიან, არამედ სახელმწიფოებრიობის ჩამოშლას, სახელმწიფოს აზიანებენ. რევოლუციას მასები სჭირდება. ოპოზიციას ხალხი რომ ჰყავდეს, არჩევნებში გაიმარჯვებდნენ. ის რაც 2003 წელს 60 ათასამდე ადამიანის გამოყვანით შეძლეს, იგივეს გამეორება დღეს აღარ გამოუვათ. ასე რომ, რევოლუციისთვის ვერ მოემზადებიან, ხალხი არ ჰყავთ, თუმცა სახელმწიფოს ჩამოშლა ნამდვილად უნდათ, რასაც აკეთებენ კიდეც. მაგალითად, გავიხსენოთ, რა მოჰყვა „ფარას“ კანონპროექტის განხილვას. ოპოზიცია, იცით, რას ფიქრობს? — სახელმწიფო თავისით ჩამოინგრევა, ვეღარ იმუშავებს და ხალხი პროტესტის ნიშნად გარეთ გამოვა (და არა იმისთვის, რომ ნაცები ხელისუფლებაში მოიყვანოს). ოპოზიცია კი ამით ისარგებლებს და ძალაუფლებას ხელში აიღებს. აი, ამ სცენარს ეყრდნობიან.

— ზურაბიშვილმა მიუნხენში კოალიციური მთავრობის შექმნის აუცილებლობაზეც ისაუბრა. პრეზიდენტი თანდათან რიგით ოპოზიციონერად ჩამოყალიბდა?

— ზურაბიშვილი უცხო ქვეყნის აგენტია და რასაც უბრძანებენ, იმას აკეთებს. პირდაპირი მნიშვნელობით, ისეთ სისულელეებს ლაპარაკობს, რაც არავითარ სამართლებრივ საფუძვლებს არ ეყრდნობა.

— ზურაბიშვილის იდეის გაჟღერებიდან მალევე ოპოზიცია ჩრდილოეთ კაბინეტზე ალაპარაკდა. ეს რამდენად ცხადყოფს, რომ სინამდვილეში მათ ხელისუფლებაში დაბრუნება უნდათ და კოალიციაზე საუბარი მხოლოდ ტაქტიკის ნაწილია?

— რეალურად, ოპოზიციამ მშვენივრად იცის, რომ არჩევნების გზით გამოდგება უცხო ქვეყნიდან და პრეზიდენტს თითს უქნევს, სააკაშვილს რატომ არ იწყალებო. ეს რა მიდგომაა დამოუკიდებელი ქვეყნის, სასამართლოს გადაწყვეტილების და, რაც მთავარია, ქართველი ხალხის მიმართ, რომელიც წლებია ამბობს, რომ „ნაცმოძრაობა“ მისთვის მიუღებელია?!

— მეტიც, ახლახან ჯიშკარიანმა განაცხადა, დემენცია სჭირდა და განიკურნაო.

— ზოგადად, დემენცია განუკურნებელი დაავადებაა ისევე, როგორც კახექსია. „უძლეველმა“ სააკაშვილმა, რომელიც რუსეთთან სამდღიან ომს ვერ გაუმკლავდა, ორი უკურნებელი სენი დაამარცხა. აი, ასეთ ყალბ მითებს ქმნიან ამ გარეწარის შესახებ.

— სააკაშვილის შეწყალების მოთხოვნით სიკორსკის მოწოდების მერე საქართველოში ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს.

— არ მგონია, ზურაბიშვილმა „ვივამედის“ პატიმარი შეიწყალოს, რადგან მშვენივრად იცის, რომ ხელისუფლებას აქვს ბერკეტი, მიშა ციხის კარიდან კვლავ უკან შეაბრუნოს. ხელმოწერები გროვდება, მაგრამ საინტერესოა, რისთვის? — მიშას ციხიდან გამოშვებისთვის, თუ საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლისთვის — აი, რა საშინელი ხელისუფლება გვყავს, მესამე პრეზიდენტი ციხეში გამოკეტაო. ქმნიან ფონს, თითქოს მიშას გამოშვებას მთელი საქართველო ითხოვს. როგორ შეიძლება ჭკუათმყოფელი ადამიანი კრიმინალის ციხიდან გამოშვებას ითხოვდეს.

— ზურაბიშვილმა მიუნხენში კოალიციური მთავრობის შექმნის აუცილებლობაზეც ისაუბრა. პრეზიდენტი თანდათან რიგით ოპოზიციონერად ჩამოყალიბდა?

— ზურაბიშვილი უცხო ქვეყნის აგენტია და რასაც უბრძანებენ, იმას აკეთებს. პირდაპირი მნიშვნელობით, ისეთ სისულელეებს ლაპარაკობს, რაც არავითარ სამართლებრივ საფუძვლებს არ ეყრდნობა.

— ზურაბიშვილის იდეის გაჟღერებიდან მალევე ოპოზიცია ჩრდილოეთ კაბინეტზე ალაპარაკდა. ეს რამდენად ცხადყოფს, რომ სინამდვილეში მათ ხელისუფლებაში დაბრუნება უნდათ და კოალიციაზე საუბარი მხოლოდ ტაქტიკის ნაწილია?

— რეალურად, ოპოზიციამ მშვენივრად იცის, რომ არჩევნების გზით

თამარ შველიძე

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ ᲒᲔᲝ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲖᲐᲕᲘ...

როგორც ირკვევა, ოპოზიციონერების ნაწილმა ჩრდილოვან კაბინეტზე საუბარი დაიწყო, რომელიც ახლანდელი და ძველი ნაცებით არის დაკომპლექტებული. მინისტრთა კაბინეტში რვა პორტფელი ნაცებს და „სტრატეგია აღმაშენებელს“, სამი „ლელოს“ და ორიც, გახარიას პარტიას ერგო. თანამდებობები კი ასე გადანაწილდა: პრემიერის თანამდებობას ვაშაძე იკავებს, სუსის უფროსი გვარამია იქნება, შსს მინისტრი — შაშკინი, თავდაცვის — ხიდაშელი, გენერალური პროკურორი — ეკა გიგაური...

ამ და სხვა პოლიტიკურ საკითხებზე გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲚᲝᲠᲗᲙᲘᲤᲐᲜᲘᲫᲔ:

ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲘᲡ ᲩᲠᲓᲘᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲘ — ᲠᲐᲡ ᲒᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ, ᲕᲔᲦᲐᲠ ᲜᲐᲮᲐᲕ

ეს ყველაზე ბნელი წარმოსახვითი სიზმრის სიუჟეტია. ოპოზიციისთვის ჩრდილოვანი კაბინეტი ეს არის — რაც გინახავს, ვეღარ ნახავ. ეს არის ბნელი ტკბობის ცოდვა. მათი უკან დაბრუნება უტოპიაა. მთავარია, თავად „ქართულმა ოცნებამ“ არ შემოიყვანოს ისინი პოლიტიკურ სარბიელზე. თუმცა იმის ფონზე, რა ზეწოლასაც საქართველო დასავლეთისგან განიცდის, შეუძლებელი არაფერია. აპრილ-მაისში უკვე გვეცოდინება, რა გზას ადგას ხელისუფლება. თუ „ქართულ ოცნებასა“ და ნაცებს შორის ზღვარი წაიშლება და მმართველი ძალა საკუთარი კეთილდღეობის გადარჩენის მიზნით, ძალაუფლებას მთელი ერის წინააღმდეგ „ნაცმოძრაობას“ გაუყოფს, ის ხალხის მხრიდან რისხვას მიიღებს. საზოგადოება არ დაუშვებს ისეთი არჩევნების ჩატარებას, რომელშიც „ნაცმოძრაობის“ სრული რეაბილიტაცია მოხდება.

ეს ოპოზიცია კი არა, სინამდვილეში, თხუთმეტი **გეიპოლიტიკური** პარტიის ნაზავია, რომელიც ცდილობს, თავისი პატრონის — გლობალური დასავლეთის მხრიდან ლეგიტიმაცია მიიღოს. ეს ძალიან სევდიანი და თან, კომიკური სანახაობაა — მარგინალური თხუთმეტი გეიპოლიტიკური პარტია მარტივ მამრავლებად იშლება. ცდილობენ, საკუთარი თავი სერიოზულ ძალად წარმოაჩინონ. რეალურად, ჩრდილოვანი კაბინეტის დაკომპლექტება მაშინ არის გამართლებული, როცა გუნდს, საზოგადოების მხრიდან, მყარი, სტაბილური მხარდაჭერა აქვს. ნაცები და მისი გამონადენები კი კომიკურ მდგომარეობაში არიან — ამ ადამიანებს უკვე ყავლი გაუვიდათ. შეუძლებელია ქართულ პოლიტიკაში ოცდაათი წელი ბარამიძეს უყურო. ისინი კოლექტიური ბარამიძეები არიან, რომელთაც ხელი სისხლში აქვთ გასვრილი და ადამიანების მიმართ ყველაზე მძიმე ჰუმანიტარული სამართლით გათვალისწინებული ნორმების ხელყოფაში არიან გაწაფულნი. მათ სურთ, დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით, „ქართული ოცნება“ დააჩოქონ და აიძულონ, ნაცებთან ერთად კოალიცია შეკრან. ისინი, ფაქტობრივად, გლობალური დასავლეთის თვალში დემონსტრირებას ახდენენ, თუ როგორი ერთგული ყმები, მონები არიან, რომლებიც ყველა დაკვეთას მორჩილად ასრულებენ. მათ პირველი „გამოცდა“ მაშინ

ჩააბარეს, როცა 2021 წლის 4 მაისს პირდაპირ თქვეს: საქართველოში ლგბტ პროპაგანდას საკანონმდებლო აქტებით დავაკანონებთო. ეს არის მთავარი საკითხი. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ამ გეიმემორანდუმს არ შეუერთდა „ქართული ოცნება“, „ლეიბორისტები“ და გახარიას პარტია — „საქართველოსთვის“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲫᲚᲘᲔᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲡ ᲘᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ

ზოგადად, მსოფლიო იცვლება. ადრე, ჰეგემონები აშშ, დიდი ბრიტანეთი და ევროკავშირი იყვნენ. დღეს ამის საპირწონედ ბრიქსის, შოსის ქვეყნები ყალიბდება, სადაც გაერთიანებული არიან ბრაზილია; რუსეთი, რომელიც ევროპაში პირველი და მსოფლიოში მეხუთე ეკონომიკაა; ჩინეთი, რომელიც მსოფლიოში მეორე ეკონომიკაა; ინდოეთი — მსოფლიოშო მესამე ეკონომიკა და სამხრეთ აფრიკა. ინდოეთი, ჩინეთი და რუსეთი ძალიან მნიშვნელოვანი ძალის ცენტრს ქმნიან, რომელშიც გაწევრიანების მსურველთა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. მას ახლო აღმოსავლეთის მძლავრი არაბული სახელმწიფოებიც ემატება. პუტინის ვიზიტი საუდის არაბეთში, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, ირანში სწორედ ამის ნათელი დადასტურებაა. ამას ხაზი შემთხვევით როდი გავუსვი — ახალი რეალობა შესაძლებლობას გვაძლევს, დასავლური დიქტატისგან, ერთპიროვნული ჰეგემონიისგან თავი დავიძვრინოთ და ქვეყნის გადარჩენის საკუთარი მოდელი შევქმნათ.

აღსანიშნავია, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში ირაკლი ღარიბაშვილი მუხლჩაუხრელად შრომობდა. სტრატეგიული ურთიერთობების დამყარების კუთხით, პრემიერ-მინისტრის უპრეცედენტოდ მნიშვნელოვანი მიღწევები ერთდროულად სამ ფრონტზე ვიხილეთ: ცენტრალურ ევროპაში, ჩინეთსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. აზერბაიჯანი და სომხეთი საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები არიან. ამ ქვეყნებს ახლახან ჩინეთიც დაემატა. ცენტრალურ ევროპაში — სლოვაკეთში, უნგრეთში მნიშვნელოვანი შეხვედრები შედგა, მანამდე კი თურქეთში. შედეგად, „შუა დერეფნის“ პროექტში მონაწილეობის თვალსაზრისით, საქართველო ერთ-ერთი ძლიერი ლიდერის როლს იკავებს, რომლის მიმართ ინტერესი მთელ მსოფლიოში მატულობს, რაც გამორჩეულ სახელმწიფოდ გვაქცევს. ჩვენ ვეღარ ვიქნებით დასავლეთისთვის ისეთი პარტნიორები, როგორიც იქაურ კაბინეტებში დაწერილი სცენარით იყო გათვალისწინებული, რის მიხედვითაც საქართველო უბრალოდ ტერიტორია უნდა ყოფილიყო, რომელსაც დასავლეთი თავისი გეოსტრატეგიული, გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესებისთვის გამოიყენებდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრე ბრიტანეთის იმპერია რუსეთის აღმავლობას ყოველთვის განიცდიდა. უკრაინაში მიმდინარე პროცესები სწორედ ამის დასტურია.

სხვა საკითხია, რომ უკრაინაში მოვლენები ისე არ განვითარდა, როგორც მავანს ვაშინგტონში, ბრიუსელსა თუ ლონდონში წარმოედგინა. რუსეთი ზეწოლას მედგრად უძლებს მაშინ, როცა ორმოცდაათი სახელმწიფო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურ ფაზაშია ჩაბმული. მიუხედავად ამისა, მან ყველაზე რთული — ავდეევკის მონაკვეთი წარმატებით გადალახა, ახლა გზა ეხსნება როგორც ზაპოროჟიეს, ისე ხერსონის, ნიკოლაევის, ოდესის მიმართულებით. დნეპრისპირეთთან მიღწევის შემთხვევაში, რუსეთი უზარმაზარ რკალში მოაქცევს მთელ უკრაინას, რომელსაც შავი ზღვის საზღვაო პორტებს გამოაცლის და ისტორიული, იმპერიული ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ყველა ტერიტორიას დაიბრუნებს, რაც ნოვოროსიასა და ნოვოსერბიას სახელითაა ცნობილი.

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗ ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲙᲐᲠ�გᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲚᲐᲓ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲐᲜ

მოგვწონს თუ არა, ჩვენ იმ რეალობაზე უნდა ვიმსჯელოთ, რის წინაშეც დღეს მთელი მსოფლიო დგას. დასავლეთ უკრაინა აღმოსავლეთ უკრაინის გარეშე ადვილი გადასაყლაპი ლუკმა ხდება იმ სახელმწიფოებისთვის, რომელთაც დიდი ხანია, მასზე თვალი უჭირავთ (პოლონეთი, რუმინეთი და უნგრეთი, რომელთაც უკრაინის მიმართ ისტორიული პრეტენზიები გააჩნიათ). უკრაინა 1922 წლამდე ფიზიკურად არ არსებობდა და სწორედ ამ წელს შეიქმნა იმ ტერიტორიების ხარჯზე, რომელთაც რუმინეთი, უნგრეთი და პოლონეთი ფლობდნენ. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ გეოგრაფია კიდევ უფრო შეიცვალა. შედეგად, პოლონეთს ლვოვი წაართვეს, უნგრეთს — ტრანსილვანია და რუმინეთს — ოდესის მიმდებარე ტერიტორია. ახლა ჩნდება შანსი, რომ აღმოსავლეთ ევროპის ამ სახელმწიფოებმა თავიანთი უფლებები აღიდგინონ, რაშიც, შესაძლოა რუსეთმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. ანუ, ამ სახელმწიფოთა ინტერესი კიდევ უფრო გააღვივოს.

ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ?!

რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები საქართველოსაც შეეხება. პირველ რიგში, გასათვალისწინებელია სომხეთის სრულიად განსხვავებული მოქმედებები, რამაც შეიძლება აზერბაიჯანთან ახალი ომი წარმოშვას. რამდენიმე დღის წინ სომხეთში საფრანგეთის თავდაცვის მინისტრის საგანგებო ვიზიტი შედგა. საფრანგეთის თავდაცვის სამინისტრომ სომხეთს საჰაერო თავდაცვის სისტემები გადასცა, რაც სომხეთის არმიას მნიშვნელოვნად გააძლიერებს. ამავე დროს, სომხეთმა უარი თქვა კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრობაზე. თუმცა, ჯერჯერობით, უარი არ უთქვამს მის ტერიტორიაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების ბაზების არსებობაზე.

თუმცა მედალს ორი მხარე აქვს: თუკი ფაშინიანი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციიდან გამოვა, ამით აზერბაიჯანს ხელ-ფეხი გაეხსნება — სომხეთის ტერიტორიაზე ომის შემთხვევაში ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები ვალდებულნი აღარ იქნებიან, რომ საომარ მოქმედებებში ჩაერთონ. ასე რომ, ისტორია ფაშინიანს რთული მისიისთვის ამზადებს. მსგავსი როლი შეასრულა ქვეყნის ისტორიაში საა-კაშვილმა — ერთი მხრივ, თითქოს, იყო მცდელობა, დემოკრატიის შუქურა გამხდარიყო, სინამდ-

ვილეში კი იგი ისტორიაში შევა, როგორც საქართველოს ტერიტორიების დამკარგავი და ქვეყნის მოსახლეობის მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გამორჩეული პირველი პირი.

პოლიტიკური ჯიჰადი ნაცების წინააღმდეგ

2012 წლის მერე რთული პერიოდი გავიარეთ, ყველაზე დიდი მონაპოვარი ის არის, რომ ქვეყანა ომში არ ჩართულა, როცა ამის რისკი ყველაზე მაღალი იყო. ქვეყანამ ამ გამოწვევას გაუძლო, რადგან ღარიბაშვილმა სახელმწიფო სწორად მართა, რასაც ოპონენტებიც ეთანხმებიან. შეუძლებელია ეს არ დააფასო.

საბედნიეროდ, დღეს ქართულ საზოგადოებაში კონსერვატიული ძალების მიმართ მხარდაჭერა ძალიან მაღალია. მთელი ელექტორატის 52% მზად არის, მხარი ამ ძალთა ერთობას დაუჭიროს, რისი შექმნის მცდელობაც რეალურია. გამოსავალი შემდეგშია: „ქართულმა ოცნებამ“ როგორც კონსერვატიულმა პოლიტიკურმა ძალამ (მათი იდეოლოგია კონსერვატიზმია) რეალურ კონსერვატიულ ძალთა არსებობა მხედველობაში მიიღოს და 2012 წლის მსგავსად მასთან კოალიცია შექმნას. 2012 წელს ეკლექტური კოალიცია შეიქმნა, სადაც ერთმანეთისგან აბსოლუტურად განსხვავებული იდეოლოგიის ძალები გაერთიანდნენ. მაშინ ივანიშვილმა ეს ძალები ერთმანეთთან დააკავშირა და ნაცების წინააღმდეგ პოლიტიკური ჯიჰადი გამოაცხადა. 2012 წელს არჩევნები „ქართული ოცნების“ გამარჯვებით დამთავრდა. შემდგომ თავს კოაბიტაცია მოგვახვიეს. ივანიშვილმა ბეწვის ხიდზე გაიარა — ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვდა, დასავლეთი კი — კოაბიტაციის გზით სიარულს, რასაც გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე თავიდან ვერ აირიდებდა.

რატომ დაიბარეს კობახიძე ბრიუსელში?

დღეს საქართველოს ურთულესი ამოცანა — 2024 წლის არჩევნები აქვს გადასალახი. მსოფლიოში გლობალური არჩევნებია. საქართველოში არჩევნები ეპოქალური, გეოპოლიტიკური მნიშვნელობის იქნება. ჩნდება კითხვა: რა არის გლობალური დასავლეთის ამოცანა, რატომ იბარებენ კობახიძეს ბრიუსელში?! — გვევაჭრებიან, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ძალაუფლება „ნაცმოძრაობას“ გადააბაროს. მეტიც, მათ სურთ, „ნაცმოძრაობას“ და თხუთმეტ გეიპოლიტიკურ პარტიას, სახელმწიფოს მართვის საკითხში აბსოლუტური უპირატესობა მისცენ. ამისთვის მოიგონეს 12-პუნქტი დავალება და მერე 9 დათქმა, სადაც წინ გენდერული დიქტატურის საკითხია წამოწეული და რაზეც ნაკლებად საუბრობენ. მოკლედ, გლობალური დასავლეთი თვალთმაქცურად გვეთამაშება, რათა სახელმწიფომ რეალური მესამე სეგმენტი — კონსერვატიულ ძალთა ერთობა, პოლიტიკურ ასპარეზზე არ შემოიყვანოს.

„ქართული ოცნება“ — ავიამზიდი გამარჯვების დიდ გზაზე

დღესვე შემიძლია გადმოგცეთ 40-კაციანი სია კონსერვატიულ ძალთა ერთობის ლიდერების, რომელთაც არჩევნებში 20-25%-ის აღება შეუძლიათ. ეს კარგად იცის როგორც ხელისუფლებამ, ისე დასავლეთში მისმა დაუძინებელმა მეგობრებმა და გამარგინალებულმა გეიპარტიების შემოქმედმა „ნაცმოძრაობამ“. სწორედ ამიტომ ძირითადი მეინსტრიმული საინფორმაციო საშუალებები, რომლებიც ხელისუფლებას და „ნაცმოძრაობას“ ემსახურებიან, ჩვენ საერთოდ არ გვახსენებენ. ჩვენთვის ხელმისაწვდომია მხოლოდ „ტვ-4“, „სოლიდარობის დრო“, „პოს-ტვ“, „ალტ-ინფო“ და კიდევ რამდენიმე ტელევიზია. „იმედზე“, „რუსთავი-2“-ზე, „პალიტრა ნიუსზე“, „მაესტროზე“, „საზოგადოებრივ მაუწყებელზე“, რომელიც 75 მილიონი ლარით ჩვენი ჯიბიდან ფინანსდება, საერთოდ არ გვაჭაჭანებენ. აღარაფერს ვამბობ სამთავიან ჰიდრაზე („ფორმულა“, „მთავარი“, „ტვ პირველი“), სადაც არასდროს გამოგვაჩენენ. ჩვენი მიზანია, კონსერვატიულ ძალთა ფრონტი შევქმნათ. „ქართულ ოცნებას“ და კონსერვატიულ ძალებს საერთო ელექტორატი გვყავს. მოსახლეობის 50-51% არჩევნებში არ მონაწილეობს, რადგან აღარც „ქართული ოცნება“ უნდა და არც ნაცები. მას ახალი, ქართული, ეროვნული სულისკვეთების ძალა სურს. ამიტომ არჩევანი ახლა „ქართულ ოცნებაზეა“. თუ პრაგმატული, დაზვეწილი ფორმულით ვიხელმძღვანელებთ, საუკეთესო გამოსავალი, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, 2012 წლის მოდელის გამოყენება იქნება — „ქართული ოცნება“ ავიამზიდი უნდა გახდეს, რომელსაც კონკრეტული კონსერვატიული ძალის ლიდერები დაეფუძნებიან. აქ ლაპარაკი არ არის პირველობაზე ან მეორეობაზე. სავსებით შესაძლებელია, გამარჯვების გონივრული ფორმულა მოვიფიქროთ. ასე „ქართული ოცნება“ ხმების უდიდეს რაოდენობას მიიღებს, რამაც შეიძლება 75-85%-მდეც კი აიწიოს, გააჩნია საარჩევნო კამპანიის ყოვლისმომცველობას და იმას, რამდენად სწორად ავუხსნით საზოგადოებას ამ ერთიანი დიდი გუნდის ჩამოყალიბების აუცილებლობას.

გამარჯვების ფორმულა — რეალური პერსპექტივა ნაცების პოლიტიკურ სანაგვეზე გასაშვებად

მთავარი, რაც მინდა გითხრათ: მოქმედი კონსტიტუციის მიხედვით, გარდამავალი დებულების თანახმად, 2024 წელს ჩატარებული არჩევნების შემდეგ უმრავლესობა და უმცირესობა აღარ იქნება. არამედ, გვეყოლება უმრავლესობა და ოპოზიცია. მესამე ძალა თუ გადაწყვეტს, არც უმრავლესობაში იყოს და არც უმცირესობაში, მას ამის უფლება უკვე აღარ ექნება. ის აუცილებლად უნდა იყოს ან უმრავლესობაში, ან ოპოზიციაში. თუ კონსერვატიულ ძალთა ერთობა არჩევნებში დამოუკიდებლად მიიღებს მონაწილეობას, 15-20%-ს მოიპოვებს და პარლამენტში შევა. ბუნებრივია, ჩვენ „ნაცმოძრაობის“ დანამატი ვერ გავხდებით. ჩვენ აუცილებლად „ქართული ოცნების“ შემადგენლობაში შესვლა მოგვიწევს. და თუკი ეს მოცემულობა გარდაუვალია, მაშინ არ სჯობს, ხვნაში გარიგებას მკაში გარიგება მოჰყვეს და უკვე დღესვე „ქართულ ოცნებასთან“ ერთად მოვილაპარაკოთ — იდეოლოგიური თანხვედრიდან გამომდინარე, ჩვენ ერთ პოლიტიკურ ბლოკში თანაარსებობა შეგვიძლია. ამ შემთხვევაში ხალხი ხმას მოგვცემს, რათა „ნაცმოძრაობა“ ჩვენი შედეგით მთლიანად გადავფაროთ. ეს კი შესაძლებელს გახდის, პარლამენტში შესულმა უმრავლესობამ კონსტიტუციური უმრავლესობა მოიპოვოს. ეს ქვეყანას განვითარების საშუალებას მისცემს, ხოლო „ნაცმოძრაობა“ კოალიციურ მთავრობაზე ოცნებასაც კი ვეღარ შეძლებს. შემდეგი ოთხი წელი ნაცების სრული განულების, ნეიტრალიზაციისა და პოლიტიკური ლიკვიდაციის წლები იქნება. და საბოლოოდ გამოვალთ იმ მოჯადოებული წრიდან, რომელშიც როგორც ციყვი დოლურაში, ისე ვტრიალებთ. აი, ამ წინადადებას ვთავაზობ „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან „ქართული ოცნების“ ანალიტიკურ სამსახურს. ამ შეთავაზებაზე დაფიქრდნენ და დროულად მიიღონ გადაწყვეტილება, რათა გარკვეული პოლიტიკური კონსულტაციების მიზნით საინიციატივო ჯგუფები შეიქმნას. მე თუ მკითხავთ, საჭიროა, ამ მოცემულობით თავად ბიძინა ივანიშვილი დაინტერესდეს და მოისმინოს ის დასკვნები, ანალიზი, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება საქმეზე, ხალხის დაკვეთაზე ორიენტირებული მოლაპარაკებების დაწყება. ჩვენ მეტი დრო აღარ გვაქვს. საჩქაროდ ახალი ფორმულა გვჭირდება. დიახ, საჭიროა ეროვნული კოალიციის შექმნა „ნაცმოძრაობის“, მისი გამონადენებისა და თხუთმეტი გეიპოლიტიკური პარტიის წინააღმდეგ, რაც მათზე გადამწყვეტი დარტყმის განხორციელების საშუალებას მოგვცემს.

ზემოთ 40-კაციანი სია ვახსენე, რომელიც კონსერვატიულ ძალას სათავეში ჩაუდგება. ამ პიროვნებებს ახლა ვერ დავასახელებ, რადგან ამას ისეთი ტიპის სპეკულაციები მოჰყვება, რაც შედეგზე ორიენტირებული არ იქნება. საზოგადოებამ უკეთ იცის, ვინ იგულისხმება ამ ორმოცი ლიდერის უკან. ყველა ლიდერს, რომელიც საჯარო სივრცეში პოზიციონირდება როგორც კონსერვატორი, ქართული იდეის, სულის მატარებელი, ქვეყნის განვითარების პრაგმატული ხედვები გააჩნია. საზოგადოების იმედები უნდა გამართლდეს. ყველა ლიდერი ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობილია. ჩვენ ჯერ ერთმანეთს და მერე ერთად ვჭირდებით საზოგადოებას. ეს „ქართულ ოცნებას“ შესაძლებლობას მისცემს, არჩევნებზე სრული დამაჯერებელი, გამანადგურებელი გამარჯვება მოიპოვოს, ისე რომ კონსტიტუციური უმრავლესობა მიიღოს ყველა, დანარჩენ ხალხის რჩეულთან ერთად.

მე ოპტიმისტი ვარ. მიმაჩნია, რომ მომავალი ხალხის ხელშია და ბოლომდე უნდა ვიბრძოლოთ, რათა გამარჯვების სანიმუშო, რაციონალური ფორმულა გამოვიყვანოთ. კობახიძემ განაცხადა, რომ კორუფციის წინააღმდეგ განსაკუთრებული სისასტიკით იბრძოლებს. კორუფცია მთავარი პრობლემაა, რის გამოც ელექტორალური ნდობის თვალსაზრისით „ქართულ ოცნებას“ პრობლემები გააჩნია, რაც აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას. თუ ამას ჩემს მიერ „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან გაჟღერებული იდეის გაზიარებაც მოჰყვება, ჩათვალეთ, გამარჯვების ფორმულა დაიწერება, რასაც რეალური პერსპექტივა ექნება.

ლიდერი ღარიბაშვილი და ლიდერი კობახიძე ძალიან სერიოზული ძალაა იმისთვის, რათა მამოძრავებელი ლოკომოტივი გვყავდეს. მათი თაოსნობით მომავალში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება, იგივე დასავლეთთან ურთიერთობის განმტკიცების კუთხით. ოღონდ ეს სხვათა ხარჯზე აღარ მოხდება. ასევე, ხელი შეეწყობა რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას, 3+3 ფორმატშიც გავერთიანდებით, უსაფრთხოების ქოლგასაც დავიხურავთ, ანაკლიასაც ავაშენებთ, ფულსაც შემოვიტანთ, ოჯახებსაც გავაძლიერებთ, ქართველებსაც დავაბრუნებთ უკან. ესაა ჩვენი მისია. ხოლო მონური მორჩილებით გლობალური დასავლეთისკენ სვლა არის სრული ვესტერნიზაცია, ანუ სინგაპურიზაცია. ჩვენ არ გვაწყობს სინგაპურის გზით სიარული. ჩვენ ეროვნული სახელმწიფო ვართ. საქართველო ქრისტეს ქვეყანაა. ჩვენ რჯულის აღმასრულებლები უნდა ვიყოთ. თუ ბატონი ბიძინა დაინტერესდება ფორმულით, რაც „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან გავაჟღერე, მზად ვართ, შევხვდეთ და ამ ფორმულის სისწორეში მეტი სიცხადე შევიტანოთ.

თამარ შველიძე

სააკაშვილმა, შესაძლოა, ნებისმიერ წუთს აღიაროს, ვინ არის მისი „უფროსი“ და რა დავალებებს აძლევენ

„საერთო გაზეთთან“ საუბრობს კონსერვატიული პორტალის „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ წევრი ნუცა ლომაძე

- საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ირაკლი კობახიძის პირველი ვიზიტი ბრიუსელში შედგა, სადაც მან მონაწილეობა მიიღო ასოცირების საბჭოს მერვე სხდომაში. დღითიდღე ვუახლოვდებით მიზანს, რომ მალე ევროკავშირის წევრობაზე მოლაპარაკებები გაიხსნას...

- ეს იყო უმნიშვნელოვანესი ვიზიტი, სადაც გამოიკვეთა პარტნიორების კეთილგანწყობა ჩვენი ქვეყნისა და დელეგაციის მიმართ. მეტი რა შეიძლება გააკეთოს ხელისუფლებამ, რაც ამ წლებში და თუნდაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში გააკეთა. ამხელა ქვეყანასთან, ჩინეთთან სტრატეგიული პარტნიორობა ხომ ძალიან მნიშვნელოვანი წინსვლაა ქვეყნისთვის. გავაფორმეთ ხელშეკრულება უნგრეთთან, აზერბაიჯანთან, დაიწყო „აბრეშუმის გზის“ პროექტზე მსჯელობა, მივიღეთ კანდიდატის სტატუსი და, იმედია, შემოდგომაზე მოლაპარაკებებიც გაიხსნება.

კარგი იქნებოდა, ოპოზიციის სახით ქვეყნის პროგრესულ განვითარებას მოწინააღმდეგეები არ ჰყავდეს, მაგრამ ამასაც ღირსეულად გადავიტანთ. მნიშვნელობა არ აქვს, კარგს აკეთებს თუ ცუდს ხელისუფლება, მათი ნარატივი უცვლელია.

- გასული წლის ბოლოს პოლიტიკაში ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა. რას შეცვლის ეს პოლიტიკურ ველზე?

- ჩემთვის, როგორც ერთი მოქალაქისთვის, ბიძინა ივანიშვილი ყოველთვის იქნება მშვიდობისა და ქვეყნის კეთილდღეობის გარანტი. მისი პოლიტიკაში დაბრუნება, ალბათ, განპირობებულია იმით, რომ მძიმე წელი გველის – საარჩევნო წელიწადია. გამიხარდა, რომ ბიძინა ივანიშვილი კვლავ გვერდით დაუდგა თავის გუნდს, რათა „ქართული ოცნების“ მშვიდობიანი პოლიტიკა შენარჩუნდეს, მაგრამ მეორე მხრივ, ცოტას ვნერვიულობ, რადგან, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ზღვარზე ვართ, თუნდაც რუსეთ-უკრაინის ომის გამო, სადაც ჩვენი ჩათრევა უნდოდათ.

ვნახეთ, რისი მაქნისებიც ვიყავით, როცა წლების განმავლობაში დიქტატს და უბედურებას ვითმენდით. ვერაფერი გავაწყვეთ, ვიდრე ბიძინა ივანიშვილი არ მოვიდა. არ გვქონდა არც ძალა და არც რესურსი იმისა, რომ ეს „მონსტრები“ მოგვეშორებინა. ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი ამ ქვეყანაში, მაგრამ მშვიდობას ხომ ფასი არა აქვს, ეს არის ჩვენთვის მთავარი. ვხედავთ, რომ ნაღმების გარემოცვაში ვცხოვრობთ. მხოლოდ რუსეთს მივიჩნევთ მტრად, მაგრამ ირგვლივ უამრავი გამოწვევაა, რომლებთან გამკლავებაც გონივრული პოლიტიკის გარეშე წარმოუდგენელია. სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდგომარეობა გვაქვს, დასავლეთს ვჭირდებით. ამიტომ, ისევ ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ, ფრთხილად უნდა ვიმოქმედოთ, თითოეული ნაბიჯი ათასჯერ უნდა გავიაზროთ. ყველა ქვეყანასთან ნეიტრალური ურთიერთობა უნდა გვქონდეს, თუნდაც მას ისტორიულ მტრად მივიჩნევდეთ. არც თურქეთია ჩვენი მეგობარი ისტორიულად და არც ირანი, მაგრამ ცივილიზებულ სამყაროში რაღაც ხომ უნდა შეიცვალოს! პრობლემის მოგვარება ომისა და დაპირისპირებების გარეშე უნდა ვისწავლოთ.

დღეს ჩვენ გვყავს ადამიანი, რომელიც ნამდვილად ზრუნავს ქვეყანაზე, რომელსაც ძალიან ბევრი კეთილი საქმე აქვს გაკეთებული ჩუმად და უხმაუროდ და ვისი იმედიც შეიძლება, გვქონდეს. თუმცა, მისმა გამოჩენამ „საჭადრაკო დაფაზე“ ბევრს ახალი თავსატეხი გაუჩინა. რომელთაც აღარ იციან, რა მოიფიქრონ, რით მიიქციონ საზოგადოების ყურადღება და დღითი დღე უფრო სასაცილო მდგომარეობაში იგდებენ თავს.

- „ჩრდილოვან კაბინეტს“ გულისხმობთ, ალბათ, სადაც უკვე თავიანთი „მინისტრებიც“ წარმოგვიდგინეს - ნაციონალების უცვლელი სახეები. პარალელურად კი ხელმოწერებს აგროვებენ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით.

- მათი ვითომ დაყოფა და შემდეგ კოალიციებად გაერთიანება მხოლოდ საზოგადოების იმ ნაწილისთვისაა გათვლილი, ვისაც არ უნდა „ნაცები“, მაგრამ ბოლომდე კმაყოფილი არც „ქართული ოცნებით“ არის.

მათ იციან, რომ ეს არჩევნებიც წაგებული აქვთ და ყველა მეთოდით ცდილობენ სიტუაციის არევას. უცხოეთიდან დიდი ფინანსური მხარდაჭერის იმედიც აქვთ. თუმცა, როგორც უნდა იცვალონ ფერი, როგორც უნდა დაიშალონ და შემდეგ გაერთიანდნენ, საზოგადოების ნდობას ვეღარ დაიბრუნებენ.

მიშას სიგიჟემდე ეშინია ციხის, რადგან მის ცნობიერებაში საპატიმრო ისეთია, როგორიც თავად შექმნა. მისი „ბანდეროლით“ გამოგზავნა საქართველოში გეგმის ნაწილი იყო, რაც, საბედნიეროდ, ვერ განახორციელეს. ხელმოწერების შეგროვება და დაპირებები კი მხოლოდ ფინტია მხარდამჭერების მოსატყუებლად. მართლა რომ გამოუშვან, სააკაშვილი ისე გაქრება ამ ქვეყნიდან, როგორც შარშანდელი თოვლი და არც არასდროს დაბრუნდება.

- თუმცა, საპრეზიდენტო ვადის დასასრულს, შესაძლოა, ის სალომე ზურაბიშვილმა მაინც შეიწყალოს...

- არ არის გამორიცხული. რატომღაც მგონია, რომ საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ ამ ქალს პოლიტიკურ არენაზე ისევ ვნახავთ. ალბათ, ამიტომ ცდილობს, „მიშისტების“ ხმები წამოიღოს, რომ შემდეგ სათავეში ჩაუდგეს ოპოზიციას. ეს არის დაკვეთა უცხოელი დამფინანსებლების მხრიდან. ჯერ მელიაზე მოსინჯეს ძალები, - არ გამოუვიდათ, შემდეგ გახარიაზე, ლომჯარიაზე... ახლა კი უკვე სალომეს მიადგნენ. ეს ქალი, ალბათ, ფიქრობს, რომ არჩევნები მართლა თვითონ მოიგო. არადა, ოღონდ ვაშაძე არ გასულიყო მაშინ და სკამი რომ დაესახელებინა „ქართულ ოცნებას“ პრეზიდენტად, ისიც „გაიმარჯვებდა“.

შეიძლება გამოუშვას კიდეც, მაგრამ როგორც კი გამოუშვებს, მეორე თუ მესამე საქმის გამო სააკაშვილი ისევ ციხეში დაბრუნდება, ისე, რომ საქართველოსაც ვერ დატოვებს. ძალიან დიდი იმედი მაქვს, ახალი პრემიერ-მინისტრი ამ ვაჟბატონს სასათბურე პირობებიდან ციხეში გადააყვანინებს და ამით დასრულდება ყველა იმ ადამიანის შეურაცხყოფა, ვისაც სააკაშვილმა უამრავი უბედურება გადაატანინა. იმ ექიმებს კი, ვინც სააკაშვილს, საზოგადოების თვალის ასახვევად დემენციისა და ათასი დაავადების დიაგნოზი დაუსვა, ჩემი აზრით, ლიცენზია უნდა ჩამოართვან. თუკი ვინმეს სააკაშვილის მოწამვლა უნდა, ეს მხოლოდ მისი „პატრონია“, რადგან, შეიძლება მან ერთ დღესაც ხმა ამოიღოს და ყველაფერი „დაფქვას“. სააკაშვილი არის „დეტონატორი“ ბომბზე, რომელსაც შეუძლია, ნებისმიერ წუთს აღიაროს, ვინ არის მისი „უფროსი“ და რა დავალებებს აძლევენ მას. სწორედ ამიტომ ხან პოლონეთის პრემიერ-მინისტრს სთხოვენ, ორიოდე სიტყვა შეაწიოს და დააიმედოს, ხან ვის და ხან ვის... რომ იცოდეს, აღარაფერი ეშველება, აქამდეც ყველაფერს იტყოდა.

- როგორც ვნახეთ, დემოკრატიულ მმართველობას თავისი პლუს-მინუსები ჰქონია. მინუსი ის არის, რომ ქვეყნის მტრებს, ფაქტობრივად, კანონი მავნებლობას ვერ უკრძალავს...

- გეთანხმებით. ასეთ დემოკრატიას, როგორიც ჩვენთან არის, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ნატრობენ, თუნდაც ამერიკაში. ჩვენთან ყველას ყველაფრის უფლება აქვს და რადიკალებიც ამით სარგებლობენ. ძალიან მადარდებს, რომ პატრიოტიზმი დაიკარგა, მოჩვენებითი და ფასადური გახდა ყველაფერი. უტევენ ეკლესიას და პატრიარქს, დაბალ დონეზეა განათლების სისტემა, უნდა ნახოთ, როგორია სკოლის ლიტერატურისა და ისტორიის სახელმძღვანელოები და რას ასწავლიან თაობებს! ეს ყველაფერი სააკაშვილის დროიდან მოდის, თუმცა დღევანდელ ხელისუფლებასაც საკმარისი დრო ჰქონდა ამის გამომოსასწორებლად.

ბავშვებს უქმნიდნენ ვირტუალურ სამყაროს, ვირტუალურ სამშობლოს. ნეოლიბერალური ნარატივები მათ ტვინში ჩაუდეს, რომ დედა და მამა ავტორიტეტი აღარ არის, რომ საქართველოში, გმირების სამშობლოში, ქართველი წმინდა მეფეები და დედოფლები მისაბაძნი სულაც არ არიან (ეს მაშინ, როდესაც ამერიკა გმირად „სპაიდერმენს“ აღიარებს), რომ შენი სხეული შენ გეკუთვნის და არა უფალს და ამიტომაც მას როგორც გინდა, ისე მოექცევი...

ეს ყველაფერი თითქოს მიზანმიმართულად კეთდება, რადგან გაუნათლებელი ადამიანი მარტივად სამართავია, ურწმუნო ადამიანისთვის კი მთავარი ფინანსური კეთილდღეობაა. უკან არაფერზე დაიხევს ამის გამო, არც ღვთისა და არც მოყვასის შიშით. საქმე იქამდე მივიდა, რომ რაღაც სექტაში წევრიანდებიან ახალგაზრდები, რათა ჯარში არ იმსახურონ. მაპატიეთ ამ გამოთქმაზე, მაგრამ ქვეყნის მტრებს უნდათ, ცხვრის ფარასავით მართონ ის ახალგაზრდობა, ვისაც სააკაშვილის რეჟიმი არ უნახავს და არ ახსოვს. ამის ნათელი მაგალითი იყო, ეგრეთ წოდებული, რუსული კანონის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი. ინტერნეტის ეპოქაში ვცხოვრობთ, „დაგუგლე“ ბოლოს და ბოლოს, როგორც „მათ“ გვირჩიეს, წაიკითხე, გაიგე, რას გთავაზობენ და მერე გამოდი! სამწუხაროდ, ახალგაზრდების ავტორიტეტები არის მაკა ხოშტარია, რომელიც თავისუფალ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობს, ნინო ჟიჟილაშვილი, ვახო სანაია, ლევან ბერძენიშვილი... ის კი არ უნდათ, რომ საკუთარ თავს და თვალებს დაუჯერონ, რაღაც წაიკითხონ და გაიგონ! ალბათ, მშობლების ბრალიც არის, რომ არ საუბრობენ სახლში, რა მონსტრიც გვყავდა სააკაშვილის ხელისუფლების სახით. მე მიმაჩნია, რომ ახალგაზრდებმა ქვეყნის უახლესი ისტორიაც უნდა იცოდნენ.

ნონა ქარქაშაძე

სადაც ქართველ გლეხს არასდროს უცხოვრია, იქ მშენებლობა უნდა აიკრძალოს!

გვესაუბრება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ფარულავა

- ბატონო გიორგი, წლების წინათ, როდესაც ლაზიკას მშენებლობაზე იყო საუბარი, თქვენ იყავით ერთ-ერთი სპეციალისტი, ვინც ამას ეწინააღმდეგებოდა. რა არგუმენტები გქონდათ ამისათვის?

- პირველ რიგში, იმ მიზეზის გამო, რომ ადგილი იყო შეუსწავლელი. ექსპრეზიდენტმა მოინდომა ქალაქის აშენება, მაგრამ დიდი წინააღმდეგობა შეხვდა სპეციალისტების მხრიდან, მათ შორის, ჩემი მხრიდანაც. მოწვეული მაქვს ორი კონფერენცია ამ საკითხზე, რის გამოც არაერთი უსიამოვნება შემხვდა. პროგრესის წინააღმდეგი არ ვარ, სადაც ლუფტი, ანუ ბიოლოგიური რეაქციის ნორმა არსებობს, დათმობა შემიძლია, მაგრამ როდესაც ნორმაში არ ეტევა ესა თუ ის პროექტი, ის არ უნდა განხორციელდეს.

სააკაშვილის ასეთი მონდომება პოპულისტური ნაბიჯი იყო. ის აპირებდა 500-ათასიანი ქალაქის აშენებას, თუმცა, ეს ღმერთმა არ დაუშვა, თორემ კატასტროფას ვერ გადავურჩებოდით. ეს ადამიანები კი იცხოვრებდნენ იქ 20-30 წელი, მაგრამ შემდეგ რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ამის წარმოდგენაც არ მინდა.

გახსოვთ კადრი, ალბათ, ვერტმფრენიდან უყურებდა სააკაშვილი ამ ადგილებს და ამბობდა, რომ ჭაობს ამოაშრობს, მწვანე წყალმცენარეებით დაფარავს და ქალაქის მშენებლობას დაიწყებს. ზევიდან კი ამოაშრობენ, მაგრამ ეს ამოშრობაა სწორედ უბედურება. ჭაობის ხელის ხლება ზედმეტად არ შეიძლება. საბედნიეროდ, ახლა ამ ადგილების ხელახლა დაჭაობება მიმდინარეობს, რაც ბუნებრივი პროცესია. ბუნება თავს იცავს.

მიუხედავად იმისა, რომ პროექტი კოლოსალურ თანხებთან იყო დაკავშირებული, ძირითადი პრობლემა მაინც გარემოზე მისი ზეგავლენა იქნებოდა. შეიძლება ვინმე ფიქრობს, რომ კარგია, თუ ჭაობს დავაშრობთ და „ბინძურ ადგილს“ მოვიშორებთ, მაგრამ ეს ქვეყნისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე წყალია. ეს არის ღვთის საჩუქარი, ქვეყნის უდიდესი სიმდიდრე. სწორედ ჭაობის დამსახურებაა, რომ სამეგრელოს რეგიონი გადარჩა.

- კონკრეტულად, რა საფრთხის წინაშე შეიძლება დავდგეთ ჭაობის ზომაზე მეტად დაშრობის შემთხვევაში?

- პირველ რიგში, იცვლება ეპიგენები, სუქსეციები, იცვლება ფაუნა. უფრო მართებული იქნება, თუ ვიტყვით, რომ ფაუნა მთლიანად გადაშენდება. ხერხემლიანთა და უხერხემლოთა ფაუნით ეს ადგილები ისედაც საკმაოდ ღარიბია. ზღვა არის იზოლატორი და ძალიან ბევრი სახეობა აქ ვერ შემოდის. როგორ წარმოგიდგენიათ, რომ რომელიღაც ხოჭომ რუმინეთიდან გადმოიფრინოს და ჩვენს ჭაობში დასახლდეს? ზღვას როგორ გადმოლახავს? ამიტომ ანაკლია ფაუნის თვალსაზრისით საკმაოდ ღარიბია. აქ წყლის ხერხემლიანებიც ნაკლებად გვხვდება. ანაკლიის ტერიტორიებზე ხარობს ფლორის ენდემური სახეობებიც. ჭაობის დაშრობის შედეგად კი იცვლება ფლორისტული შემადგენლობა, რაღაცას ხელოვნურად ჩავანაცვლებდით და გავამწვანებდით, მათი აზრით, მაგრამ ვერაფერს აღვადგენდით.

წმინდა ეკოლოგიური თვალსაზრისით, ჭაობი მხოლოდ სტარტეგიული წყალი კი არ არის, ის აბალანსებს ზღვას. ბალანსი რომ დაგვერღვია და ხელოვნური ჯებირი გაგვეკეთებინა, შტორმის დროს ერთ წამში გაქრებოდა ყველაფერი. ლიხის ქედს იქით იქნებოდა გრუნტის წყალი ამ მთიან ზოლში, ეგრისის მთებიდან ლიხის ქედის რკალში კი გრუნტის წყლები დაბლა დაიწევდა. ჭებში წყალი გაქრებოდა, რადგან შემაკავებელი ძალა აღარ იარსებებდა. წალენჯიხას, ჩხოროწყუს, ზუგდიდს, ხობს... უწყლოდ დავტოვებდით.

გარდა ამისა, ღვარცოფებისა და წყალმოვარდნებისგან წყალში ჩაიძირებოდა მთელი ტერიტორია დარჩელამდე. წყალმოვარდნები წაიღებდა სახნავ-სათესებს...

- როგორც ვიცი, ამ ქალაქის გაშენების ალტერნატიული პროექტიც არსებობდა...

- დიახ, იყო ალტერნატიული გეგმა, რაც ამერიკელებმა შემოგვთავაზეს. აშენდებოდა 30-ათასიანი ქალაქი და ხამანწკების ქარხანა ანაკლიის მიდამოებში. შესაბამისად, ზღვაში ხამანწკების გამრავლებას დავიწყებდით. ამ პროექტის შესასწავლად ერთ-ერთმა უცხოურმა ორგანიზაციამ დამიქირავა. ადრეც ბევრი ექსპედიცია მქონია ანაკლიის მიდამოებში და, ფაქტობრივად, ამისთვის მზად ვიყავი. საკითხის დეტალურად შესწავლის შემდეგ, მქონდა პირდაპირი ჩართვა ამერიკასა და ევროპის ექვს ქვეყანასთან, სადაც ჩემი შედეგები წარმოვადგინე და 30-ათასიანი ქალაქის მშენებლობას დავუჭირე მხარი. ეს იყო რეალური პროექტი, რადგან გარემოში უხეში ჩარევა არ მოხდებოდა. ამ ქალაქისა და ქარხნის მშენებლობისთვის საკმარისი იქნებოდა მშრალი ადგილები, ანუ ანაკლიის მიმდებარე ტერიტორია ჭურიამდე და ყულევამდე. თუმცა, სააკაშვილი ამის წინააღმდეგი იყო.

- ლაზიკა უნდა გაშენებულიყო ანაკლია-ჭურიის უბანზე, სადაც ფრინველთა ეგრეთ წოდებული მიგრაციის ყველაზე დიდი მარშრუტია. სავარაუდოდ, ამ მხრივაც პრობლემები შეიქმნებოდა...

- დიახ, რა თქმა უნდა. ცათამბჯენების და შუშის სახლების ჭაობზე აშენება არ არის დიდი პრობლემა თანამედროვე ტექნოლოგიებისთვის, მაგრამ ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზების გარდა, ეს მიდამოები ცნობილია, როგორც გადამფრენი ფრინველების დასასვენებელი ადგილი. აქ ისვენებენ ისინი და შემდეგ მიფრინავენ თბილ ქვეყნებში. ნიუ-იორკში, ოკეანის სანაპიროდან ყოველ დილით დასუფთავების სამსახურს ტონობით დახოცილი ფრინველი გააქვს, რადგან ფრინველი ცათამბჯენს ვერ აღიქვამს, შუშებს ასკდება და ძირს ეცემა. იგივე მოხდებოდა ლაზიკაშიც, გადამფრენი ფრინველები იქ აღარ დარჩებოდნენ. ზოგიერთი ფრინველი, მაგალითად, იხვი, მოდის, ამ ტერიტორიაზე ბუდობს, ჩეკავს ბარტყებს და შემდეგ უკან ბრუნდება. ეს პროცესიც დაირღვეოდა. ანუ, ირღვეოდა მთლიანად ეკოლოგიური კვებითი ჯაჭვი: იხვი თევზით იკვებება, რასაც ის ჭაობში ადვილად პოულობს, ზღვაში თევზის მოპოვება უფრო ძნელია. ეკოლოგიური ჯაჭვის გაწყვეტა იწვევს ეკოლოგიური პირამიდის დაშლას, რაც, თავის მხრივ, ეკოლოგიურ კატასტროფებს, წყალმოვარდნებს და ღვარცოფებს იწვევს.

გარდა ამისა, საიდან მოიყვანდნენ 500 ათას ადამიანს? მაქვს ინფორმაცია, რომ აქ უნდა ეცხოვრათ ალეპოელ სომხებს. მათთვის უნდა აეშენებინათ ლაზიკა და ეს იქნებოდა სომხური დასახლება.

- ბატონო გიორგი, როგორ ფიქრობთ, რამ გამოიწვია შოვის ტრაგედია, ალბათ, ბუნებამ უხეშად ჩარევა არ გვაპატია...

- იმ ნაწილში ექსპედიცია არ მქონია და ზუსტად არ ვიცნობ რელიეფს, მაგრამ გამოცდილებიდან ჩანს, რომ ისეთი დაუსახლებელი ადგილები, სადაც ადრე ქართველი გლეხი არ ცხოვრობდა, სანდოდ არ ითვლებოდა. გლეხი საცხოვრებლად ვარგის მიწას დაუსახლებელს არ დატოვებდა. სადაც არც თესავდნენ, არც ხნავდნენ და ჰქონდათ მხოლოდ ტყე, - იცოდნენ, რომ მოძრავი ადგილი იყო, ხეც ვერ იდგამს ფესვებს ზოგჯერ ასეთ ადგილზე და ამიტომაც იყო დაუსახლებელი. შოვი კომუნისტების დროს აშენდა და სანამ აშენდებოდა, ეს უნდა გაეთვალისწინებინათ. ათეულობით წლის განმავლობაში კი მშვიდად ცხოვრობდნენ, მაგრამ საფრთხე ნებისმიერ დროს იყო მოსალოდნელი, რისი პროვოცირებაც, ამჯერად, გლობალური დათბობის პროცესმა გამოიწვია. საქართველოში ბევრი მეწყერსაშიში ზონაა. ასეთი პრობლემები თბილისშიც არის. წყნეთის გზაზე ინტენსიური მშენებლობები რომ მიმდინარეობს, მეშინია, მთა არ ჩამოიშალოს. შესწავლილია ის მთა? მთას, რომელიც მტკვარში ჩადის და სტრუქტურას იცვლის - ქვემოდან რომ ბალანსს აცლი, ზედა ნაწილი ოდესღაც ხომ წამოვა?! ამიტომ არის საშიშროება ნუცუბიძის პლატოზეც, სადაც ახლა ინტენსიური მშენებლობები მიმდინარეობს. გლობალური დათბობის პირობებში ეს არის რისკი. ყოველ წელს ვხედავ, რომ წყნეთი-თბილისის გზა გადაკეტილია, იმიტომ, რომ მიწა ჩამოწვა. რეალურად კი მეწყერია დაძრული და ახალი ნაპრალები ჩნდება.

- ახლო მომავალში ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი პროექტის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობა იგეგმება. რა უნდა გაკეთდეს მშენებლობის დაწყებამდე?

- პირველ რიგში, უნდა ჩატარდეს ეკოლოგიური ექსპერტიზა, რაც ჯერ არ ჩატარებულა. სერიოზული დასკვნები, ჯერჯერობით, არ დევს. ისეც არ შეიძლება, რომ ქვეყანა არ განვითარდეს. არის სპეციალური ფორმულები, რითაც უნდა გამოითვალო გარემოს განვითარების დინამიკა. წინასწარ უნდა განისაზღვროს შედეგი და რეაქციის ნორმის გაზრდის ან შემცირების შესაძლებლობები. ხელი არაფერს უნდა ვახლოთ, ვიდრე რეალური ეკოლოგიური დასკვნა არ გვექნება. აუცილებლად იქნება იქ ლუფტი იმისათვის, რომ კარგი ნავსადგური აშენდეს, მაგრამ დაუშვებელია, ჯერ ავაშენოთ და შედეგებზე შემდეგ ვიფიქროთ. გონივრული ეკოლოგიური მიდგომებით ყველაფერი შეიძლება გაკეთდეს.

ნონა ქარქაშაძე

№7 (740) 28.II. 2024 წ.

გამამართლებელი განაჩენების სიმრავლე, ხშირ შემთხვევაში, დაბალი ხარისხის გამოძიების შედეგია

გთავაზობთ ინტერვიუს ადვოკატ მანანა მოსულიშვილთან, რომელიც წლების განმავლობაში სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობდა და ეკავა სხვადასხვა თანამდებობა. იგი იმ ცვლილებების მონაწილეა, რომელიც დღემდე ქართულმა პროკურატურამ და გამოძიებამ განიცადა.

— ქალბატონო მანანა, იყო თუ არა საბჭოთა პერიოდში გამოძიება დამოუკიდებელი და პროცედურულად როგორ ექვემდებარებოდა პროკურატურას?

— საბჭოთა პერიოდის გამოძიება აბსოლუტურად დამოუკიდებელი იყო, რასაც ხელს უწყობდა კვალიფიციური და გამოცდილი კადრები. გამომძიებლად ვერ დაინიშნებოდა იურისტი, თუ არ ჰქონდა მინიმუმ ერთწლიანი სტაჟირება გავლილი გამოძიების მიმართულებით, რაც გამოცდილი გამომძიებელის ხელმძღვანელობით ხორციელდებოდა. იგი სტაჟიორს ასწავლიდა არამხოლოდ საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების ჩატარებას, არამედ, ეფექტურ კომუნიკაციას როგორც პროცესის მონაწილეებთან, ისე მათთან რაიმე სახით კავშირში მყოფ მოქალაქეებთან.

გამომძიებელი დამოუკიდებლად იძიებდა სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც შემდეგ საბრალდებო დასკვნით, დამტკიცებულს ზემდგომი პროკურორის მიერ, აგზავნიდა სასამართლოში არსებითად განსახილველად. გამოძიების მიმდინარეობისას პროკურორი აძლევდა მითითებებს აუცილებელი საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების შესახებ, თუმცა, საგამოძიებო მოქმედებებს გამომძიებელი ატარებდა პროკურორისგან დამოუკიდებლად, დღევანდელი გამოძიებისგან განსხვავებით, როდესაც გამომძიებელი მოწმესაც კი ვერ ჰკითხავს პროკურორის გარეშე იმის შიშით, რომ რაიმე კითხვა არ გამორჩეს.

მას შემდეგ, რაც გამომძიებელი ჩაატარებდა ამომწურავ გამოძიებას, პროკურორი ისმენდა/ეცნობოდა საქმეს და იღებდა გადაწყვეტილებას, წარემართა თუ არა საქმე სასამართლოში არსებითად განსახილველად. თუ არსებობდა იმის ალბათობა, რომ საქმეს „უჭირდა“ და სასამართლო ამ საქმეზე ვერ დაადგენდა გამამტყუნებელ განაჩენს, პროკურორი იღებდა გადაწყვეტილებას სს საქმის შეწყვეტის შესახებ, რაც დღეს არ ხდება. საქმეს ყველა შემთხვევაში აგზავნიან სასამართლოში მოსამართლის იმედად, რომელიც ან გამოიტანს განაჩენს, ან შეცვლის კვალიფიკაციას ბრალდებულის სასარგებლოდ და სხვ.

ასეთი მიდგომა გაუმართლებლად მიმაჩნია, რამდენადაც აკნინებს პროკურორის როლს საზოგადოების თვალში. უფრო მეტიც, გამამართლებელი განაჩენების სიმრავლე არ ნიშნავს მთლად დემოკრატიული პრინციპების დაცვას, ხშირ შემთხვევაში, უფრო უხარისხო გამოძიების შედეგია. მიმაჩნია, რომ, თუ პროკურატურა უფრო გაბედულ ნაბიჯებს გადადგამს, განსაკუთრებით ე. წ. გახმაურებულ საქმეებზე და თავად მიიღებს გადაწყვეტილებას საქმის სასამართლოში წარმართვამდე, უწყების პრესტიჟი და ავტორიტეტი საზოგადოების თვალში ბევრად უფრო ამაღლდება.

— როგორც ვიცით, იმ პერიოდში არსებობდა სუბსიდიური დევნის ინსტიტუტი, როდესაც პირი სასამართლო პროცესზე მიუთითებდა ახალ დანაშაულზე, სასამართლო ვალდებული იყო, კერძო განჩინებით საქმე გადაეგზავნა გამოძიებისთვის, რაც სასამართლოს უფრო მეტ მნიშვნელობას სძენდა.

— დიახ, არსებობდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მუხლი, რომლის მიხედვითაც, საქმის არსებითი განხილვის პროცესში გამოვლენილ დანაშაულებრივ ფაქტზე მსჯელობდა თვით სასამართლო და განჩინებით უგზავნიდა მასალებს პროკურორს შემდგომი რეაგირებისთვის. უფრო მეტიც, მხოლოდ სისხლის კი არა, სამოქალაქო საქმის განხილვის დროსაც კი ხდებოდა მსგავსი რეაგირება, რაც დღეს აკრძალულია. ასე, მაგალითად, ამჟამად პროკურატურაში შეტანილი მაქვს საჩივარი ერთ-ერთი მოქალაქის მიმათ განხორციელებული სავარაუდო თაღლითობის ფაქტზე, რა დროსაც მომჩივანმა წარმომიდგინა სამოქალაქო საქმის გადაწყვეტილება, სადაც აღიარებულია, რომ სავარაუდო დამნაშავემ მოატყუა მოსარჩელე და აჩვენა ძველი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც მითითებული იყო, რომ დასაგირავებელი ბინა ირიცხებოდა იმ პირის სახელზე, ვისგანაც უნდა ეგირავებინა ბინა მოსარჩელეს და გადასცა კიდეც ფულადი თანხა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამ შემთხვევამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე ბინის მესაკუთრეს ბინა გადაუფორმებია თავისი ქალიშვილისთვის. ნაცვლად იმისა, რომ რეაგირება მოეხდინა სასამართლოს სავარაუდო დანაშაულის ფაქტზე, მოტყუებით სხვისი კუთვნილი თანხის დაუფლების მიზნით, აქეთ მიუთითა მოსარჩელეს, თქვენ უნდა გადაგემოწმებინათ ბინის სამართლებრივი მდგომარეობა საჯარო რეესტრშიო. ამ დროს მოსარჩელეს არანაირი განათლება არ გააჩნია საიმისოდ, რომ ეს ყველაფერი შეესრულებინა და თაღლითობის მსხვერპლი არ გამხდარიყო.

თანამედროვე სამოქალაქო საპროცესო კოდექსი არ ავალდებულებს მოსამართლეს ამგვარი რეაგირების განხორციელებას, რითაც კვლავ ზარალდება კეთილსინდისიერი შემძენი.

რაც შეეხება სისხლის სამართლის საქმეს, ამგვარი ვალდებულება ეკისრება საქმის განხილვაში მონაწილე ბრალდების მხარეს, პროკურორს, რომელიც პრაქტიკულად არ ასრულებს კანონის მოთხოვნას. სსსკ 101-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გამოძიების დაწყების საფუძველია დანაშაულის შესახებ ინფორმაცია, რომელიც გამომძიებელს ან პროკურორს მიაწოდეს, რომელიც გამოვლინდა სისხლის სამართლის პროცესის დროს...

— რა არის დადებითი სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში და როგორ აუმჯობესებს გამოძიების ხარისხს?

— სისხლის სამართლის ახალ კოდექსს ბევრი დადებითი მხარე აქვს ძველისგან განსხვავებით, გამარტივებულია ბევრი საპროცესო მოქმედება, თუნდაც საქმის წარმართვა სასამართლოში, აღარაა სავალდებულო საბრალდებო დასკვნის წერა, რომელზეც ძალიან დიდ დროს ხარჯავდა პროკურორი და, რაც ყველაზე მთავარია, ახალი კოდექსის მიხედვით, შემოღებული იქნა ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს სამართლიანობის აღდგენას და სასამართლოს ვერდიქტი მთლად მოსამართლის, თვალებახვეული თემიდას (პირდაპირი გაგებით) იმედად არ არის თანამედროვე მართლმსაჯულებაში. უკეთესი იქნება, თუ გაფართოვდება იმ სს საქმეთა არეალი, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით იქნება განხილული. მიმაჩნია, რომ მტკიცებულებათა სამართლებრივ შეფასებასთან ერთად, ფრიად მნიშვნელოვანია საზოგადოების მონაწილეობა და დანაშაულებრივი ქმედების ფსიქოლოგიურ ჭრილში მათი შეფასება.

— პასუხობს თუ არა დღევანდელი გამოძიება თანამედროვე სტანდარტებს?

— როგორც უკვე აღვნიშნე, გამოძიების ხარისხი, ხშირ შემთხვევაში და არა აბსოლუტურად ყველა, არ შეესაბამება საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებს, არ ხდება გამოძიების პროცესში ყველა იმ საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების სრულად და ამომწურავად ჩატარება, რის შედეგადაც მოპოვებული იქნება ბრალდების დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, რომელთა გაბათილებასაც დაცვის მხარე ვერ შეძლებს სასამართლოში. სწორედ ამიტომ, შჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, ხშირად დაცვის მხარის არგუმენტაცია ბევრად უფრო მისაღები და ძლიერია სასამართლოსთვის, რის გამოც დგება გამამართლებელი განაჩენი. თუმცა აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ძალიან ბევრი გამოცდილი გამომძიებელი მუშაობს საგამოძიებო ორგანოებში, რომელთა დამსახურებითაც არის გამოტანილი დღეს გამამტყუნებელი განაჩენების უმრავლესობა.

— ფაქტია, რომ ნაციონალური ხელისუფლების წასვლის შემდეგ სასამართლო გათავისუფლებულია სახელმწიფო ზეგავლენისაგან, რასაც მოწმობს გამამართლებელი განაჩენების რაოდენობის ზრდა...

— მართალია, ნაციონალური ხელისუფლების წასვლის შემდეგ სასამართლო გათავისუფლდა სახელმწიფო გავლენისგან, რამაც ხელი შეუწყო გამამართლებელი განაჩენების დადგენას.

თუმცა, ხშირ შემთხვევაში, გამამართლებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი არასაკმარისი მტკიცებულებებია.

ლევან ჭილლაძე

„ერთი მსახიობის თეატრი“ პოლიტიკურ სცენაზე

დიპლომატიური სკანდალის ზღვარზე იმყოფებოდნენ გასულ კვირას ისრაელი და ბრაზილია. ლულა და სილვამ, ბრაზილიის პრეზიდენტმა საჯაროდ განაცხადა: „...თუ ისრაელი ღაზას სექტორში ქალაქ რაფახზე ფართომასშტაბიან შეტევას დაიწყებს, სადაც მილიონი დევნილია, ჰოლოკოსტის ტრაგედიის გამეორება იქნება“. გამონათქვამმა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ განარისხა, რომელმაც ბრაზილიიდან საკუთარი ქვეყნის ელჩი გაიწვია. დიპლომატიურ დემარშს გაგრძელება ჯერ არ მოჰყოლია, მაგრამ, სავარაუდოდ, ეს მხოლოდ ელჩების გაწვევით არ დასრულდება.

ვითარება ახლო აღმოსავლეთის რეგიონში კვლავ მძიმე და გაურკვეველია. ღაზას სექტორში გრძელდება შეტაკებები ისრაელის არმიასა და „ჰამასის“ მებრძოლებს შორის. ოფიციალური ისრაელის მონაცემებით, უამრავი ტერორისტი გაანადგურეს, მაგრამ „ჰამასი“ მედგარი წინააღმდეგობის გაწევას განაგრძობს. უფრო მეტიც, როგორც ისრაელელმა ჯარისკაცებმა უამბეს ჟურნალისტებს, „ჰამასის“ მებრძოლები მათ პატარ-პატარა ჯგუფებად მოულოდნელად ესხმიან თავს და მნიშვნელოვან ზარალსაც აყენებენ. მათივე თქმით, ამის გამო იძულებულნი არიან, დიდ ჯგუფებად გადაადგილდნენ.

დაძაბული ვითარება რჩება ისრაელის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქებში, რომლებიც მოსახლეობისგან, ფაქტობრივად, დაიცალა. მიზეზი ლიბანიდან „ჰეზბოლას“ მებრძოლების საარტილერიო შეტევებია. გასულ კვირას ნეთანიაჰუ ისრაელი-სირია-ლიბანის საზღვრის სიახლოვეს მდებარე სამხედრო ბაზას ესტუმრა და ჯარისკაცებს მოუწოდა: „ჩვენი ძირითადი მოვალეობაა, მოსახლეობა საკუთარ სახლებში დავაბრუნოთ. ამისთვის მათ უსაფრთხოების განცდა უნდა შევუქმნათ და დავიცვათ“. გავრცელებული ინფორმაციით, ისრაელელი მაღალჩინოსანი სამხედროები პარიზში, საერთაშორისო ორგანიზაციების შუამავლობით მოლაპარაკებებს აწარმოებენ „ჰამასთან“ ღაზას სექტორში ცეცხლის შეწყვეტის თაობაზე. ვიდრე საერთო ენას გამონახავენ, ანკლავში ბრძოლები გრძელდება.

თუ მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდება, რამადანის დღესასწაულის მიუხედავად, ნეთანიაჰუს გადაწყვეტილი აქვს ისრაელის არმიამ რაფახში ფართომასშტაბიანი სახმელეთო ოპერაცია დაიწყოს. ექსპერტების შეფასებით, თუ ისრაელი ამ დროისთვის დაიწყებს შეტევას, არამარტო ღაზას სექტორში, არამედ მთელ რეგიონში დიდი ომი დაიწყება. თუმცა, მეტი რაღა უნდა მოხდეს, როდესაც ღაზას სექტორში უკვე უამრავი ადამიანია დაღუპული და მშვიდობიანი მოსახლეობა ჰუმანიტარულ კრიზისშია.

დღემდე გაურკვეველი რჩება „ჰამასის“ მიერ ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში მძევლად აყვანილთა ბედი. ამიტომ ტრადიციად იქცა ისრაელის დიდ ქალაქებში აქციების გამართვა მათი გათავისუფლების მოთხოვნით. ღაზას სექტორში ცეცხლის შეწყვეტის სანაცვლოდ ისრაელის ხელისუფლება პირველ და მთავარ პირობად „ჰამასს“ მძევლების გათავისუფლებას სთხოვს. ნეთანიაჰუ არაერთხელ შეჰპირდა მოსახლეობას, რომ ყველა ტყვეს დააბრუნებდა, მაგრამ ქვეყანაში მისი უკვე ნაკლებად სჯერათ. შაბათის ტრადიციულ აქციებზე ადრეც ბევრჯერ წამოჭრეს ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნა, მაგრამ ამას შედეგი არ მოჰყოლია. გასულ შაბათს იერუსალიმში პრეზიდენტის ოფისის სიახლოვეს და თელ-ავივში აქციები ერთდროულად გაიმართა ნეთანიაჰუს და მისი მთავრობის გადადგომის მოთხოვნით. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ ხელისუფლებას აქციების დასაშლელად ძალის გამოყენება მოუხდა.

ახლო აღმოსავლეთში შექმნილ რთულ სიტუაციაზე ისიც მეტყველებს, რომ იემენელი ჰუსიტები აქტიურად უტევენ ბრიტანულ და ამერიკულ გემებს. გასულ კვირას სარაკეტო დარტყმით ჩაძირეს ბრიტანული სატვირთო გემი. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც შეტევას გემის ჩაძირვა მოჰყვა. ჰუსიტები იმუქრებიან, რომ მსგავს ქმედებებს კვლავაც გააგრძელებენ. მომხდარმა რეალურად შეაშფოთა ამერიკელი სამხედრო ელიტა, რომელიც ამას არ მოელოდა.

რთული ვითარებიდან გამოსავალს ზოგიერთი პოლიტიკოსი უკრაინისთვის ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას მიიჩნევს. გასულ კვირას ლვოვში (და არა კიევში) ჩავიდა ამერიკის შეერთებული შტატების სენატორი, დემოკრატიული პარტიის ლიდერი ჩაკ შუმერი, რომელიც პრეზიდენტ ვლადიმერ ზელენსკის შეხვდა. შუმერი მასპინძელს დაპირდა, რომ უკრაინას ფინანსური დახმარების მიღებაში დაეხმარება. „ყველა დარწმუნებულია, რომ დახმარების შემთხვევაში უკრაინა გაიმარჯვებს“, — განაცხადა შუმერემ. მან ლვოვიდან კვლავ მოუწოდა კონგრესმენებს, დროულად დაამტკიცონ სენატის მიერ წარდგენილი დახმარების პაკეტი. სენატორს ეთანხმება სახელმწიფო მდივნის თანაშემწე ვიქტორია ნულანდიც: „თუ უკრაინას დავეხმარებით, ის არამარტო გაიმარჯვებს, არამედ დაპირ განაცხადა, რომ რუსეთთან მოლაპარაკებას დასავლელი კურატორების თანხმობის გარეშე ვერ დაიწყებს.

უცნაური ფაქტია, რომ უკრაინა-პოლონეთს შორის ურთიერთობა გაცივდა. პოლონელი ფერმერები უკრაინიდან პროდუქციის გატარებაზე უარს აცხადებენ. ტვირთის გადამზიდავი ავტომობილების მძღოლები უკრაინელ კოლეგებს დაუპირისპირდნენ და ორ ქვეყანას შორის საზღვარი ბლოკირებული აქვთ. მათ მხარს უჭერს პოლონეთის ხელისუფლებაც. მდგომარეობის განმუხტვისთვის ზელენსკიმ პოლონეთის მხარეს საზღვარზე დაუყოვნებლივ შეხვედრა და მოლაპარაკების გამართვა შესთავაზა. პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა ზელენსკის უხეშად უპასუხა: „შეხვედრა შედგება არა საზღვარზე, არამედ ვარშავაში, ერთი თვის შემდეგ, მარტის ბოლოს“. უკრაინის პრემიერი შმიგალი დელეგაციის თანხლებით კი ჩავიდა საზღვარზე, მაგრამ პოლონეთის მხრიდან შეხვედრაზე არავინ მივიდა. უფრო მეტიც, უკრაინის დელეგაცია პოლონეთში რომ არ შესულიყო, ადგილობრივმა მოსახლეობამ გზებზე ლურსმნები დაყარა. ამით კიდევ ერთხელ მტკიცდება, რომ პოლიტიკაში არ არსებობენ მეგობრები, არის მხოლოდ ინტერესები. ჯერ კიდევ შარშან პოლონელები უკრაინელებს ძმობას და მეგობრობას ეფიცებოდნენ...

ფერმერების საპროტესტო აქციები ევროპის ქვეყნებში არახალია. ფერმერები აცხადებენ, რომ მათთვის მიუღებელია ევროკავშირის მიერ გატარებული პოლიტიკა სოფლის მეურნეობის დარგში. გასულ კვირას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გამოდგა საფრანგეთში განვითარებული მოვლენები. პარიზში სოფლის მეურნეობის მიღწევების მე-60 გამოფენა გაიხსნა. ღონისძიებას, ტრადიციულად, პრეზიდენტი ხსნის. პავილიონთან მიმდინარე ფერმერებისა აქციას პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა მათ ყურადღება არ მიაქცია. განაწყენებული აქციის მონაწილეები შენობაში შეიჭრნენ. საჭირო გახდა დაცვის გაძლიერება და პოლიციის დამატებითი ძალების გამოძახება. პოლიციასა და აქციის მონაწილეებს შორის ხელჩართული დაპირისპირება მოხდა. მაკრონმა გაქცევით უშველა თავს. თუმცა, მოგვიანებით იძულებული გახდა, პროფკავშირების წარმომადგენლებს შეხვედროდა. იგი პროტესტანტებს პრობლემების თანდათან მოგვარებას შეჰპირდა, მაგრამ ქვეყანაში მისი ნაკლებად სჯერათ.

ერთი მსახიობის თეატრს დაემსგავსა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატის გამოვლენა რესპუბლიკურ პარტიაში. გასულ კვირას სამხრეთ კაროლინაში პრაიმერი ჩატარდა. შტატი ერთ-ერთი კანდიდატის, ნიკი ჰეილის სამშობლოა, იგი ორი ვადით იყო გუბერნატორი. თუმცა, გამარჯვების მოპოვება დონალდ ტრამპმა შეძლო და ხმათა 60% მოიპოვა. ტრადიციულად, კაროლინაში დამარცხებული ბრძოლას წყვეტს, მაგრამ ჰეილი დისტანციის დატოვებას არ აპირებს. საერთოდ კი ამ შტატში გამარჯვებული იკავებს პრეზიდენტის სავარძელს. გავრცელებული ინფორმაციით, დემოკრატების მხარდამჭერებმა შეტყობინებები მიიღეს, მხარი ჰეილისთვის დაეჭირათ, რამაც განაპირობა ხმათა 40 %-ის მიღება. „სი-ენ-ენის“ ინფორმაციით, ბაიდენმა მომხრეებს ტრამპის წინააღმდეგ აგრესიული მოქმედებებისკენ მოუწოდა.

პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა გასულ კვირას კვლავ გააოცა მსოფლიო, როდესაც რუსი კოლეგა ვლადიმირ პუტინი „შეშლილ ძაღლიშვილად“ მოიხსენია. რას უპასუხებენ რუსები, მომავალში გამოჩნდება.

გია ბურდული

მწერლობა და ბედისწერა

დღეს უკვე მწერლობაში ე. წ. „ნონფიქშენის“ სახელით ფეხმოკიდებული ესეისტურ-მემუარული სტილი საზოგადოებრივ ჟღერადობას იძენს. მას ყოველთვის მიმართავდა ქართული მწერლობა, რაფიელ დანიბეგაშვილიდან და გრიგოლ ორბელიანიდან მოყოლებული. „ნონფიქშენის“ ძირები იძებნება პლატონის დიალოგებსა და ჯუმბერ თითმერიას ლიტერატურულ საუბრებში. ამ სტილისტილკას მისდევს გური ოტობაიას მონუმენტური ხუთწიგნეული „შეუთავსებელთა შეთავსებაც“. ახალი რუბრიკის პირველი ავტორების, მწერალ — დავით შემოქმედელისა და პროფესორ გიორგი გოგოლაშვილის ერთობლივი წიგნი „ეპოქა და მწერალი“ არ გახლავთ რიგითი იწილო-ბიწილო საუბარი, არამედ იგი ორი დაუნჯებული პიროვნების სიღრმისეული სჯა-ბაასია ჩვენი ყოფიერების საჭირბოროტო საკითხებზე. ფეხბედნიერი ყოფილიყოს ჩვენს პერიოდიკაში ამ ორი მაღალბუნებოვანი ესთეტის ტანდემური მარათონული სტუმრიანობა.

თამარ ბერძენიშვილი



დავით შემოქმედელი — მწერლობა ჯამია საკუთარი სულიერი ბიოგრაფიისა და სხვად ქცევის შედეგად დაგროვილ ემოციათა მიტანისა მკითხველამდე.

გიორგი გოგოლაშვილი — **შთაგონებასთან დაკავშირებით მწერლობასა და ხელოვნებაში იქნებ გვითხრათ დამატებით რაიმე?**

დ. შ. — შთაგონების სამი სახე არსებობს: 1. მუზა, 2. დუენდე, 3. ანგელოზური ხელოვნება. ეს კლასიფიკაცია მოგვცა ესპანელმა პოეტმა გარსია ლორკამ; მან ეს თვალსაზრისი ჩამოაყალიბა მოხსენებაში — „დუენდე — თეორია და თამაში“, რომელიც ჰავანაში 1930 წელს წაიკითხა. აი, ეს სამი სახეობა: 1. მუზა, რომელიც მოულოდნელად, ჩვენს დაუპატიჟებლად გვეწვევა ხოლმე, და არავინ იცის, საიდან სად წაგიყვანს. მითოლოგიურად — ესაა ზევსისა და მეხსიერების ქალღმერთის მნემოსინეს 9 ქალიშვილი — 9 მუზა. ეს მუზა — ქალღმერთები ყველა დროის პოეტების შთაგონების წყარო იყვნენ. ისინი მოხსენებული არიან ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეაში“. ისინი ლიტერატურას, ხელოვნებასა და მეცნიერებას მფარველობდნენ. სხვათა შორის, მუზებს ჰქონდათ თავიანთი ტაძრები, რომლებიც მუსიენებად იწოდებოდა (აქედან წამოვიდა სიტყვა „მუზეუმი“). 2. დუენდე — ესპანურად ნიშნავს არაბოროტ დემონს, რომელიც მფარველობს ფუძეს (ჩვენებური „ფუძის ანგელოზი“ ან „ადგილის დედა“). ეს არის ერთგვარი სისხლის კულტურა. ლორკა ამ ტერმინს ხმარობს ხელოვნების დიონისური საწყისის გამოსახატავად (აპოლონურის საპირისპიროდ). დუენდე არის „სული მიწისა“ (ლორკა). დუენდე არის ფუძის ანგელოზის კულტურა; გასაგებად რომ ვთქვათ, ვერავინ იცეკვებს ტანგოს იმ ენერგეტიკითა და ისე, როგორც ესპანელი ან არგენტინელი; ვერც ისე ექსპრესიულად — ლამბადას, როგორც ბრაზილიელი. ჩვენი მაგალითი რომ მოვიყვანო, ვერავინ იმღერებს მზის ღვთაების საგალობელ ჰიმნ „ლილეს“ სვანების მსგავსად, „კრიმანჭულს“ — გურულივით და „ნანას“ — მეგრელივით.... 3. და ბოლოს, ანგელოზური კულტურა. ესაა კულტურა, რომელიც ამაღლებულთან, უფალთან ზიარებაა; ვთქვათ, მიქელანჯელოს, ლეონარდო და ვინჩის, რაფაელისა და სხვა ასეთ ცისნაბადთა ხელოვნება. ლორკას საინტერესო დაკვირვება აქვს სამივე მიმართებით: „ყოველგვარ ხელოვნებას და ყველა ქვეყანას ძალუძს ფლობდეს დუენდე-ს, ანგელოზურ კულტურასა და მუზას. თუ გერმანია (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) ფლობს მუზას,ხოლო იტალია მარადის ინარჩუნებს ანგელოზს, ესპანეთს ყოველთვის ამოძრავებს და წარმართავს დუენდე“.

გ. გ. — **დავით, თუ გიფიქრია, „გარსია ლორკას პრინციპი“**

როგორ მოქმედებს ქართულ სინამდვილეში (გაკვრით ითქვა, მაგრამ...)?

დ. შ. — 1. მუზა (თუ შეიძლება ასე ითქვას, მუზის კულტურა). ლიტერატურა, ხელოვნება, რომელიც მყისიერ შთაგონებაზეა დამოკიდებული. ასეთია თითქმის მთელი ჩვენი საერო მწერლობა (მცირე გამონაკლისის გარდა). 2. რაც შეეხება დუენდე-ს, ადგილის დედის, ფუძის ანგელოზის ხელოვნებას, როგორც ზემოთ ვთქვით: გურული — „კრიმანჭული“, მეგრული — „ნანა“, სვანური „ლილე“, კახური — „ჩაკრულო“, აჭარული — „განდაგანა“ და სხვა მრავალი... 3. ხოლო ანგელოზურ კულტურასთან მიმართებით: ქართულ ტაძართა კედლის მხატვრობა — მთელი ჩვენი ფრესკული ხელოვნება „ყინწვისის ანგელოსით“ დაწყებული ნებისმიერი ფრესკული შედევრით დამთავრებული, უნიკალური უძველესი ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრული ძეგლები, უმაღლესი სასიმღერო კულტურა — ქართული საგალობლები, არამიწიერი შემოქმედება — ჩვენი ჰიმნოგრაფია...

გ. გ. — **დავით, წერის დროს პოეტი ფიქრობს მკითხველზე, ამ დროს მკითხველს აქვს თავისი როლი, ახსოვს პოეტს მკითხველი ლექსის წერის დროს, სხვაგვარად რომ ვთქვა, ლექსის წერისას მკითხველი ახდენს პოეტური აზრის „კორექტირებას“.**

დ. შ. — საგულისხმო მოსაზრებას გვთავაზობს, ლოგოცენტრისტული თეორიის მიხედვით, დეკონსტრუქტივიზმის ფუძემდებელი მეოცე საუკუნის დიდი ფრანგი ფილოსოფოსი **ჟაკ დერიდა,** მისი აზრით, „წერა არის გარკვეული ტიპის არყოფნა, რადგან მკითხველთან არ ხარ. მკითხველს და მწერალს რომ ერთდროულად ეარსებათ, მაშინ მწერალი კონტაქტს მკითხველთან მეტყველებით დაამყარებდა. წერა არის მეტყველების შემცველი, და წერა არის მეტყველების არსებობა — აღდგენა“. არიან მწერლები, რომელთაგან მომისმენია, რომ თხზვის პროცესში მუდმივად არიან თავიანთ მაღალგემოვნებიან მკითხველთან, ერთგვარად მასზე ცდიან თავიანთ შემოქმედებით ნაღვაწს, მას აბარებენ ანგარიშს. მე პირადად წერის დროს მხოლოდ საკუთარ თავში ვარ ჩანთქმული.

გ. გ. — **დავით, ნუ მიწყენთ, თქვენთვის საჩოთირო კითხვას თუ დაგისვამთ: რამდენად გჯერათ, რომ თქვენი შემოქმედება დროს გაუძლებს, როგორც იტყვიან, „მარადისობასთანაა წილნაყარი“. წერთ, კიდეც ერთგან: „ვწერ, მხრებით ვიჭერ სიტყვების ზვავს და ღუელში ვიწვევ მარადისობას“.**

დ. შ. — სიტყვებთან ბრძოლა, მარადისობასთან ღუელია. ყველა შემოქმედი, რომელიც კალამს ხელში აიღებს და საწერ მაგიდასთან ჯდება, ამით მარადისობას ესვრის ხელთათმანს, მას იწვევს ღუელში, ღუელში, რომელიც უმრავლეს შემთხვევაში მწერლის მარცხით მთავრდება. ჩემს შემოქმედებით ნაღვაწთან დაკავშირებით წმინდად ამბივალენტური დამოკიდებულება მაქვს. ხან ვფიქრობ, მთელი ეს ჩემი ნაღვაწი, ავლადიდება, მთელი ეს ფართიფურთი და ფორიაქი, სულ ზედმეტია, გროშის ფასიც არა აქვს-მეთქი; ხან კი ისეთი მწერლური მკრეხელობა, თავდაჯერებულობა ამიტანს, რომ, ვფიქრობ, სამყაროს უკანასკნელ მკითხველსაც კი სულს შეურხევს ჩემი სიტყვა. ისე კი შემოქმედების მარადისობის ცნება არასწორად ესმით. დიონისე არეოპაგელი განმარტავს: „მხოლოდ ღმერთებს შეიძლება ეწოდოს მარადიული, ხოლო შემოქმედების მარადისობა არის მარადისობა, რომელიც არის რაღაც შუალედური დროსა და მარადისობას შორის“. მხოლოდ დიდი შემოქმედება არის არარადან ყოფიერში გადასვლა. ამისი გაცხადებაა ეს ნააზრევი: „მხოლოდ შემოქმედებას გადავყავართ არყოფნიდან ყოფნაში“ (პლატონი). ვთქვათ ისიც, რომ მწერალს ხშირად გაზვიადებული წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე; ეს, ერთი მხრივ, ცუდია, რადგან რეალობას აცდენილია, უცხოთა თვალში ის ირონიის საგნად აღიქმება, მაგრამ, მეორე მხრივ, აუცილებელია... მწერალმა რომ ბოლომდე გაიაზროს, რა შედეგრები დაწერილა მწერლობის გაჩენის დღიდან აქამომდე მსოფლიო ლიტერატურაში, შესაძლებელია კალამს ხელი საერთოდ არ მოჰკიდოს. გაზვიადების თემასთან დაკავშირებით გეტყვით: სომხეთის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე იყო ვარდგეს პეტროსიანი. ერთხელ თბილისში უკითხავთ, თქვენ სომხეთში მერამდენე მწერალი ხართო. არც დაფიქრებულა ისე უპასუხია, მეორეო. „ეს რა თავხედი ყოფილა, რამხელა წარმოდგენა ჰქონია საკუთარ თავზეო“, — „აღშფოთებულან“ ქართველი მწერლები და უკითხავთ, პირველი ვინაა, შენ თუ მეორე ხარო. — „პირველები ბევრი არიანო“... მახვილგონივრულად მიუგია პეტროსიანს. ისე კი სამი სახის მწერალი არსებობს. 1. პიროვნება მეტია, ვიდრე მისი შემოქმედება. 2. შემოქმედება ავტორზე დიდია. 3. მწერალი და შემოქმედება თანაბარია.

გ. გ. — **ისე საინტერესოა, რა საზომით იზომება პიროვნება და მისი შემოქმედება, მაგრამ ნუ წავალთ ასე „შორს“... აქვე მაინც მინდა ჩაგეკითხო: დავით შემოქმედელი რომელია?**

დ. შ. — თქვენ წარმოიდგინეთ და არ ვიცი. მე არც ჩემი საზოგადო საქმეების აწონვა შემიძლია, მით უფრო ჩემი შემოქმედების მნიშვნელობის განსაზღვრა.

გ. გ. — **მკითხველი უპირატესად იცნობს პოეტ დავით შემოქმედელს; არსებობს პროზაიკოსი დავით შემოქმედელი... მიუხედავად იმისა, რომ მკითხველი უმეტესად პოეტს იცნობს, პროზაიკოსმა შემოქმედელმა თავისი ადგილი უკვე მოიპოვა სამწერლო სივრცეში; გამოდის წიგნები, ითარგმნება უცხო ენებზე... თქვენი ერთი მოთხრობა „ცოდვის ტირილი“ სასკოლო დამხმარე სახელმძღვანელოშიც კი არის შეტანილი... პროზაიკოს დავით შემოქმედელს ყველაზე მეტად რა პრობლემები აღელვებს?**

დ. შ. — კი ბევრი თემა და პრობლემა მაწუხებს. გამოვყოფდი არჩევანის პრობლემას. რა გზას ირჩევენ პერსონაჟები, ეს განსაზღვრავს კიდეც სამომავლოდ მათ ცხოვრებას. ამასთანავე, მაინტერესებს მოძალადისა და მსხვერპლის პრობლემა. რაც ორი სახისაა, ან პიროვნებაა მოძალადე და საზოგადოება — მსხვერპლი, ან, პირიქით, საზოგადოებაა მოძალადე და პიროვნება — მსხვერპლი.

გ. გ. — **დავით, ისეთ საკითხებზე გადავედით, მოდით, ამ კითხვასაც დაგისვამთ, როგორც პოეტსა და პროზაიკოსს: თქვენი აზრით, რა არის მთავარი განსხვავება პოეზიასა და პროზას შორის?**

დ. შ. — პოეზიაში რაზედაც ან ვისზედაც არ უნდა წერდეს ავტორი, მან საკუთარი „მე“ უნდა აჩვენოს, საკუთარი მსოფლგანცდა, მისეული სამყარო უნდა მიიტანოს მკითხველამდე. პროზაში კი, პირიქით, საკუთარი თავი უნდა გააქროს, გათქვიფოს იგი წმინდანსა თუ მომაკვდავ მოხუცში, ქურდსა თუ ბერში და ა. შ. ... ყველგან უნდა შესახლდეს. მამაკაცმა მწერალმა მშობიარე ქალის ტკივილებიც იმავე განცდის სიმძაფრით უნდა გადმოსცეს, ქალი რომ განიცდის.

პროზის რიტმთან დაკავშირებით კი ვიტყვი ორიოდ სიტყვას. პროზაულ ტექსტს პოეზიისაგან განსხვავებული, ძნელად შესამჩნევი, მაგრამ საკუთარი რიტმი აუცილებლად უნდა ჰქონდეს. უცხოურ ლიტერატურულ კრიტიკაში ხშირად იწერება წერილები, მათ შორის მონოგრაფიებიც პროზის რიტმზე, ქართულ სალიტერატურო სივრცეში მსგავსი კვლევები ერთობ ცოტაა.

პროზასა და პოეზიას შორის განსხვავებაზე საინტერესო მოსაზრება აქვს ინდოელ სულიერ მოძღვარსა და ფილოსოფოს შრი ნიჩმოის (1931-2007 წ.წ.) — „პროზას ადამიანები წერენ, მაგრამ პოეზიას ღმერთი წერს ადამიანის მეშვეობით“.

გაგრძელება იქნება

საქართველოს მწერალთა ეროვნული კავშირის სამეგრელო-ზემოს სვანეთის რეგიონული ორგანიზაციის წევრები, მწერლები: **ლაშა გვასალია, შუკო ჯიქია, ზაურ კალანდია, გია ჯიჭონაია, ბორის დავითაია, ოთარ არძინბაია, კოტე ნაჭყებია, მზეჭაბუკ (ჭაბუკა) ქოიავა, ლია ნაროუშვილი, გური ოტობაია** და **„საერთო გაზეთის“** რედაქცია (**თამარ ბერძენიშვილი-ხარჩილავა**) იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, მადლიერი კალმით ცხებული ჟურნალისტი, მწერალი,

ნონა ალიოს ასული ქობალია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

„ვეტინგის“ სისტემა – აურზაური არაფრის გამო

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და პარლამენტის წევრმა ლევან ბეჟაშვილმა პარლამენტს სასამართლო რეფორმის „გაჯანსაღების“ მიზნით მართლმსაჯულების სისტემაში ე. წ. ვეტინგის შემოღების წინადადებით მიმართა. ეგრეთ წოდებული ვეტინგის სისტემა ოპოზიციამ საკანონმდებლო ორგანოში ისე წარმოაჩინა, თითქოსდა მისი მიღების გარეშე, გამეფებული კორუფციის გამო, სასამართლო სისტემა თავზე დაგვემხობა.

ოპონენტთა მოსაზრებით, მოსამართლეთა კანდიდატების შერჩევა და დანიშვნა მხოლოდ საელჩოების, დიპლომატიური კორპუსის მიერ შერჩევის გზით უნდა მოხდეს, რაც, თურმე, ერთიორად გაზრდის საზოგადოების ნდობას მართლმსაჯულების მიმართ. ამ პოზიციას ორკესტრირებულად ახმოვანებს დეპუტატი ქ-ნი ხატია დეკანოიძეც, რომელმაც კარგად იცის, რომ ეს პროექტი უკრაინაშიც ჩაფლავდა.

ის, რისკენაც „ნაციონალური მოძრაობა“ გვიბიძგებს, ქართული მართლმსაჯულების სისტემისთვის უფრო ზიანის მომტანია, ვიდრე წარმატების. ალბათ, ბატონ ბეჟაშვილს ავიწყდება, რომ არც ისეთი უმწეონი ვართ, გულწრფელობა მანიპულაციის ელემენტებისგან ვერ გავარჩიოთ.

„ერთადერთი საკითხი, რასაც ოპოზიცია აყენებს, ვენეციის კომისიის მოთხოვნა არ არის. ამასთან დაკავშირებით დავსვით კითხვა, რა არის იმის საფუძველი, ეს რატომ უნდა გავაკეთოთ. ამის არგუმენტი ვერ მივიღეთ. იყო არგუმენტი, თითქოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიმართ ნდობა არ არსებობს. ვკითხეთ, შეეძლოთ თუ არა რაიმე გადაწყვეტილებების დასახელება, - არცერთი მაგალითი არ დასახელდა სასამართლო გადაწყვეტილების, რომელზეც იქნებოდა ეჭვი, რომ სისტემური პრობლემა არსებობს,” - გაკვირვებას ვერ მალავს მედიასთან კომენტარში პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი.

რას ნიშნავს „ვეტინგის“ სისტემა, რომელსაც „ნაციონალური მოძრაობა“ სასამართლო სისტემის გაჯანსაღებისთვის გვთავაზობს და როგორია მისი გამოყენების საერთაშორისო პრაქტიკა.

„ვეტინგი საჯარო მოხელეების კეთილსინდისიერების შემოწმების ერთ-ერთი მექანიზმია. ამ მეთოდით პირის თანამდებობასთან თავსებადობა ფასდება, რასაც დანიშვნაზე უარი ან გათავისუფლება შეიძლება მოჰყვეს. მაგალითად, კოსოვოში ე. წ. ვეტინგის პირველი ეტაპი არაეფექტიანი აღმოჩნდა, რადგან კოსოვოს მართლმსაჯულების რეფორმა მაშინაც და დღესაც კომპლექსურ, გრძელვადიან შედეგზე ორიენტირებულ მიდგომას მოითხოვდა. მხოლოდ ვეტინგი კი ამ მიზანს ვერ უზრუნველყოფს“, - აღნიშნავენ საერთაშორისო სამართლის ექსპერტები.

კოსოვოში ვეტინგის პროცესი 2010-2011 წლებში მოსამართლეებისა და პროკურორების შემადგენლობის სრულ განახლებას გულისხმობდა. ვეტინგის პირველი ეტაპი კოსოვოში 2010 წელს დაიწყო. პროექტის თანახმად, მაშინ ყველა კანდიდატის, მოქმედი მოსამართლისა და პროკურორის შემოწმება განახორციელეს, რამაც მართლმსაჯულების ყველა რგოლი მოიცვა. სასამართლოსა და პროკურატურაში გამოცხადებული ვაკანტური ადგილებიდან ვეტინგის შედეგად მხოლოდ 72,45 % შეივსო; მათგან დაახლოებით 40% განმეორებით დანიშნული მოსამართლეები და პროკურორები იყვნენ, 60% კი - ახალარჩეულები.

ვინაიდან ვაკანტური ადგილები ვერ შეივსო, კოსოვოში სასამართლოს/პროკურატურა საქმეებით გადაიტვირთა და მათი მუშაობა ნაკლებეფექტიანი გახდა. ამავე დროს, ეს იყო სისტემის გაჯანსაღებისთვის გამოყენებული ერთადერთი და ერთჯერადი მექანიზმი, რომელიც, ვენეციის კომისიის აზრით, უშედეგო აღმოჩნდა.

2021 წელს, ახალი პრემიერის ალბინ ქურთის ინიციატივით, ვეტინგის გზით მართლმსაჯულების სისტემის რეფორმაზე მუშაობა კვლავ დაიწყო; 2022 წლის სექტემბერში ვეტინგის შესახებ წინადადებები დასამტკიცებლად კოსოვოს საკანონმდებლო ორგანოს, ასამბლეას გადაეცა. ცვლილებები ამ დრომდე დამტკიცებული არ არის.

როგორც საერთაშორისო გამოცდილებამ გვიჩვენა, კოსოვოს მაგალითის მოხმობაც კი საკმარისია, რომ საზოგადოებამ არ დაიჯეროს „ნაციონალური მოძრაობის“ იდეა, თითქოს მათ სასამართლოს სიტემის გაჯანსაღება სურთ. ოფიციალური წყაროს ინფორმაციით, კოსოვოს შესახებ სრული ინფორმაცია და გამოცდილება აქვს მათ შორის ევროკავშირს, რომელითაც ასე მანიპულირებენ ხელისუფლების ოპონენტები და არა მგონია, დასავლეთს საქართველოში აწყობდეს იმის დანერგვა, რაც სხვა ქვეყნებში არ ამართლებს. როგორც ჩანს, ოპოზიციას ამ წინადადებით სხვა შორსმიმავალი გეგმების განხორციელება სურს. იცის, რომ მართლმსაჯულების სისტემაშიც უკვე კონტროლს კარგავს და ყავლგასული ინიციატივების წყალობით გამქრალი გავლენების რეანიმაციას ცდილობს.

როცა საკითხი სამართლიანი სასამართლოს ინსტიტუტს ეხება, არაფრით ჩამოვრჩებით სხვა განვითარებულ ქვეყნებს, სადაც გამამართლებელი განაჩენების რაოდენობის ზრდის მიხედვით დასტურდება, რომ დღეს ქართული სასამართლო სრულიად თავისუფალია სახელმწიფო გავლენებისგან.

ქართული საზოგადოება არც ისეთი უმწეოა, რომ ბრმად მიიღოს და გაიზიაროს ის, რაც სულ ახლო წარსულში სხვა ქვეყნისათვის მიუღებელი და არაპრაქტიკული აღმოჩნდა.

ლევან ჟიღლაძე

შინაური ცხოველები და ადამიანები – კანონპროექტი ორივეს უფლებების დასაცავად

როცა ჩემს „გოგოებს“ ვუთხარი, ახალი კანონი უნდა მიიღონ პარლამენტში ფისოებისთვის და ცუგებისთვის-მეთქი, არავითარი კანონი არ გვაინტერესებს ჩვენო, მიპასუხეს. თუ ჩვენს ნებაზე არ გვაცხოვრებთ, რომელიც მოგვწონს, იმ სავარძელში ნებივრობას არ დაგვანებებთ, ნუგბარ-ნუგბარს არ მოგვართმევთ, რომელ თქვენგანსაც ავირჩევთ, ის არ დაიძინებს ჩვენთან ერთად და როცა ხასიათზე არ ვართ, ჩვენს „შეწუხებას“ განიზრახავთ... კანონის დახმარება თავადვე დაგჭირდებათო...

უფროსი „გოგოცუნა“ ნენსი, ჯერ წლისაც არ იყო, როცა ერთ-ერთ სერიალში გადასაღებად „მიიწვიეს“. მისი კამკამა ზღვისფერი თვალები და თეთრი თათუნები თუ მოეწონათ, თორემ, რას შეიძლება დააბრალოს, რომ უამრავ ჩამრგვალებულ-ჩაფუმფულებულ ფისუნიას შორის სწორედ მისი ფოტო შეარჩიეს?! სულ ორიოდე საათში პატარამ ასი ლარიც გამოიმუშავა და „ოჯახში შემოიტანა“. მეტი რა უნდა ექნა კნუტს! მას შემდეგ, აგერ, მეშვიდე წელია, სახლი თავისი ჰგონია - იყიდა, ფაქტობრივად. მოგვიანებით კი, თავის ორ შეძენილ, ქუჩიდან „მოთრეულ“ „დაიკოსაც“ გაუნაწილა. დიდად არც უნდოდა, მაგრამ სხვა რა გზა ჰქონდა. მისი ოჯახის წევრები, სადაც კი უპატრონო კნუტს ნახავენ, ყველა სახლში მოჰყავთ. ნეტა, ძაღლი არ მოუყვანონ და...

გეღიმებათ, ალბათ, და გიკვირთ! - აი, ასე „აფრენენ“ შინაური ცხოველების მეპატრონეები, ზოგი - უფრო მეტადაც!

თუმცა, ცხოველის სიყვარული ერთია და ფანატიზმი - მეორე. ფანატიკოსთა ლოგიკა საზღვრებს სცდება. ადამიანთა ნაწილს კოჭლ ძაღლზე მეტად შესტკივა გული, ვიდრე მის მიერ დაკბენილ ბავშვზე; საბელითა და ალიკაპით სასეირნოდ გამოყვანილი ცხოველი მეტად ედარდება, ვიდრე შიში ადამიანის თვალებში, თუკი ეს ცხოველი მასზე გაიწევს. თუმცა, არ ადარდებთ ქუჩაში თუ სკვერში თავიანთი საყვარელი ცხოველების მიერ დატოვებული ექსკრემენტები და, ხშირ შემთხვევაში, მათი გასუფთავების ვალდებულებასაც არ გრძნობენ.

როგორც ყველაფერში, აქაც უკომპრომისო რადიკალებს ვაწყდებით, რომლებიც ამჯერად ცხოველთა მოყვარულის სახელით ეძებენ პოლიტიკურ სარგებელს. მიუსაფარი ცხოველების უკონტროლოდ გამრავლების თემა რომ კარგა ხანია გადაუჭრელ პრობლემად იქცა, მგონი, სადავო არ არის. მისასალმებელია, თუ სათანადო ყურადღება მიექცევა სახელმწიფოს მხრიდან იმ უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, რასაც ზოგიერთი ადამიანი შინაური ცხოველის მიმართ ავლენს. აკი, ეგრეთ წოდებული ცხოველთა მოყვარულებიც მსგავს რეაგირებას მოითხოვდნენ, მათი მიზანიც ხომ ეს არის - რაც შეიძლება ნაკლები მიუსაფარი ცხოველი ქუჩაში.

„ეგრეთ წოდებულს“ არ ვაკადრებდი, მაგრამ ვისთვისაც ცხოველის სიცოცხლე, როგორც უნდა უყვარდეს ის, ადამიანის სიცოცხლეზე უპირატესია და ვისაც გარკვეული (საკმაოდ სოლიდური) ფინანსური სარგებლის გამო „უყვარს“ ცხოველი, მე მათი „სიყვარულისა“ არ მწამს. სავსეა

ქუჩები სახლიდან გაგდებული და უკონტროლოდ გამრავლებული ძაღლებით, რომლებიც ხშირად საფრთხეს უქმნიან ადამიანის, მათ შორის, ბავშვების სიცოცხლეს. ამიტომაც არის აუცილებელი, გამკაცრდეს კანონი შინაურ ბინადარ ცხოველთა მოშენება-გამრავლების შესახებ და მეტი პასუხისმგებლობა დაეკისროს მოქალაქეს, რომელიც ცხოველის მოვლა-პატრონობას გადაწყვეტს.

გასათვალისწინებელია, რომ არსებობენ „ძაღლთთაყვანისმცემლები“ - ადამიანები, რომლებიც ძაღლის გარდა „ცხოველს არ ცნობენ“. სწორედ მათ შესახებ წერს სოცი-

16 გვ.

შინაური ცხოველები და ადამიანები – კანონპროექტი ორივეს უფლებების დასაცავად

15 გვ.

ალური ქსელის მომხმარებელი, რომელიც მსგავს დამოკიდებულებას ასეთივე აგრესიით პასუხობს:

„ყველა ცხოველი ძაღლივით ჭკვიანია და მასზე ბევრად ერთგული. მე, მაგალითად, მყავს თხა, რომელიც ძაღლივით სულ გაშვებულია. დავუძახებ, მოდის, მოვწველი და ისევ ვუშვებ... მას რომ უპატრონო ძაღლმა რამე დაუშავოს, წამით არ დავფიქრდები, ისე დავაჭედებ თოფს, რადგან ის თხა ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვებს სუფთა რძეს ვასმევ ყოველდღე. ძაღლის ასეთი უაზრო სიყვარული საიდან მოიტანეთ, არ მესმის! ხუთი ძაღლი მყავს და მაგრად მიყვარს, იცავენ ჩემს ტერიტორიას, მაგრამ ჩემ შვილებს ვერ შევადარებ და ვერც სხვის შვილებს. ქალაქი სანაგვედ იქცა. იდიოტურ კანონებს იღებენ მათ დასაცავად, ადამიანებს კი, რომლებსაც ძაღლის ეშინიათ, არავინ იცავს...“

ცალკე პრობლემაა ძაღლების პატრონების წინააღმდეგობა იმის თაობაზე, რომ მათ ძაღლს საბელი და ალიკაპი არ სჭირდება, რადგან აგრესიული არ არის და ქუჩაშიც არავის ერჩის. სწორედ ამ „უწყინარი“ მიზეზის გამო, ხშირად თითისტოლა ბავშვს გასასეირნებლად თავისზე ორჯერ დიდი ზომა-წონის ძაღლი გამოჰყავს, რომელსაც ამსახველი ფოტო თუ ვიდეომასალა, რაც იწვევს საზოგადოების მძაფრ ინტერესს, დაეკისრა თუ არა დანაშაულში მხილებულ პირს სამართლებრივი პასუხისმგებლობა. გახშირებული ფაქტების გამო, გასულ წელს იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა დაჩქარებული წესით განიხილა სისხლის სამართლის კოდექსში შესატანი ცვლილება, რითაც გამკაცრდა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ცხოველის წამების ფაქტზე, თუმცა, იქნება თუ არა ეს შემაკავებელი წინაღობა ადამიანობადაკარგული ადამიანისთვის, ძნელი სათქმელია. პრობლემას ამ შემთხვევაშიც ქუჩაში დარჩენილი ცხოველი წარმოადგენს.

ადამიანთა შემდეგი კატეგორია - ცხოველთა მოძულეები, ღიად და გულახდილად აღიარებენ ამას და არც ცხოველების ხოცვა-წამებას ერიდებიან. სოციალურ ქსელში არაერთხელ გავრცელებულა ცხოველთა წამების ვერანაირი ძალით ვერ შეაკავებს, თუკი ძაღლს შემთხვევით „გადაეკეტა“ და ადამიანზე გაიწია. სადღაც ამგვარად გაჯიუტებული ადამიანების არგუმენტიც გასაგებია, რადგან, როცა ოჯახში განებივრებულ ცხოველს ალიკაპს უკეთებ, შეიძლება მას ქუჩაში ძაღლების მთელი ხროვა ისე შემოესიოს, რომ ვერც ძაღლმა და ვერც მისმა პატრონმა თავის დაცვა ვერ მოახერხოს. ამჯერადაც პრობლემა უპატრონოდ მიტოვებულ ნაშიმშილარ და დამშეულ ცხოველებამდე მიდის.

„შინაურ ბინადარ ცხოველთა შესახებ“, რომელიც გაკრიტიკებაც მავანმა ჯერ კიდევ მის განსახილველად გამოტანამდე მოახერხა, სწორედ ცხოველთა მართვის სფეროში სამართლებრივი საფუძვლების შექმნას ითვალისწინებს, „რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანისა და შინაური ბინადარი ცხოველისათვის უსაფრთხო საარსებო გარემოს შექმნას.“

„გაკრიტიკება“ რბილად ნათქვამია. არიან ადამიანები და ორგანიზაციები, რომლებიც საზოგადოების ნაწილისთვის ამ მეტად ამაღელვებელ თემას საკუთარი მერკანტილური მიზნებისთვის იყენებენ და ცდილობენ, უარგუმენტო ვარაუდით, ბუნებრივ ემოციებზე მანიპულირებით, პრობლემა ისე მიაწოდონ საზოგადოებას, თითქოსდა ცხოველთა მასიური ევთანაზია იგეგმება, ან დაურეგისტრირებელი ცხოველი პატრონს ჩამოერთმევა და სასიკვდილოდ იქნება განწირული. სწორედ ამ „მიზეზის“ გამო, ძაღლების გადარჩენისა და დაცვის ასოციაციის ხელმძღვანელი თამაზ ელიზბარაშვილი, პროექტის ინიციატორს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტის თავმჯდომარე მაია ბითაძეს „მკვლელად“ მოიხსენიებს და სპეციალურად ჩაწერილი მიმართვით ავრცელებს, რომ ქუჩის ცხოველთა რაოდენობის შემცირება მათი დახოცვა-განადგურების ხარჯზე იგეგმება.

მაია ბითაძე განმარტავს, რომ ეს კონკრეტული ადამიანები ჩართული იყვნენ შეხვედრებში, რაც წელიწად-ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა; რომ ევთანაზიასთან დაკავშირებით კანონი არ იცვლება; გარკვეულ დაწესებულებებში ცხოველის შეყვანა მოქმედი კანომდებლობითაც აკრძალულია, ახალი რეგულაციით კი შეზღუდვა მეტად მოქნილი ხდება; არავინ დააჯარიმებს მიუსაფარი ცხოველის მიმკედლებელს; საცხოვრებელი კორპუსის მობინადრეს კი შეუძლია, სასურველი რაოდენობის ცხოველი ჰყავდეს, თუკი მათ ქუჩიდან აიყვანს, დაარეგისტრირებს და პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე აიღებს:

„ყოველდღიურად ვღებულობთ ახალ-ახალ წინადადებებს სხვადასხვა კომიტეტიდან, რომლებმაც სავალდებულო დასვნა უნდა წარმოგვიდგონონ. მიმდინარეობს შეხვედრები და კონსულტაციები ცხოველთა დამცველებთან, მათ შორის საშენების მეპატრონეებთან, ველოდებით დასკვნას საქართველოს მთავრობიდან და სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან. რადგან კანონის აღსასრულებელი ნაწილი სიცრუის ტირაჟირებაში დაიკარგა, მინდა მისი მთავარი ღირებულება განვმარტო - ეს არის ელექტრონული მართვის ერთიანი სისტემა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, ქუჩაში გაგდებული და უკონტროლოდ გამრავლებული ცხოველი გავაკონტროლოთ,“ - აცხადებს კანონპროექტის ინიციატორი...

როცა ეს ყველაფერი ჩემს ფისუნიებს ვუამბე... არ დაგიმალავთ და, ადამიანად გარდასახვის ყოველგვარი სურვილი დაკარგეს. იმედია, თქვენში რაციონალურად მოაზროვნე ნაწილი მეტია და პროცესზე გავლენას სწორედ ეს ჯანსაღი ნაწილი მოახდენსო, მითხრეს... და მაინც, ნეტა, ახლა აქედან რა დასკვნას გამოიტანენ ჩემი „გოგოები“: ნენსი, მოლი და ფეფო?! რა შეიძლება ვიფიქროთ, გარდა იმისა, რომ ეს არის მიზანმიმართული კამპანია პროცესის დასაზიანებლად და ადამიანების გარკვეულ კატეგორიას არ სურს, ქუჩაში გაგდებულ ცხოველთა პრობლემა მოგვარდეს?!

ოლღა ცქიტიშვილი

ჩვენს საყვარელ ლევანიკოს, ბრწყინვალე ადვოკატს, ჟურნალისტობასა და ქართული ენის გრამატიკის შესწავლას დაწაფებულ ხელოვანს

ლევან ჭიღლაძეს

რომელიც უბადლოდ ცეკვავს ოსურს და შეუდარებლად მღერის „ჩაკრულოს“, ვულოცავთ დაბადების დღეს.

ვუსურვებთ ჯანმრთელობას, შემოქმედებით წარმატებებს და პროფესიულ ზრდას. დაე, კიდევ მრავალ დაბადების დღეს დაესწროს საყვარელ ოჯახთან და ჩვენთან ერთად.

„საერთო გაზეთი“

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99